



**საქართველოს საბანკო სისტემის
განვითარების სტრატეგია
2006-2009 წლებისათვის**

საქართველოს ეროვნული ბანკი



საქართველოს
საბანკო სისტემის
განვითარების სტრატეგია
2006–2009 წლებისათვის

საქართველოს ეროვნული ბანკი
თბილისი
2006

წინამდებარე დოკუმენტი, რომელიც საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა, განსაზღვრავს საქართველოს საბანკო სისტემის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს საშუალოვადიან პერიოდში – 2006-2009 წლებისათვის. სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს, სტრუქტურული რეფორმების ეფექტიანი განხორციელების, შესაბამისი საკანონმდებლო აქტების მიღებისა და მათი ცხოვრებაში გატარების პირობებში, ამ დოკუმენტით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად დასახული ღონისძიებები გათვლილია 2009 წლამდე პერიოდისათვის.

შინაარსი

I. არსებული მდგომარეობის მოკლე მიმოხილვა	6
II. საბანკო სისტემის შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელი პირობები	14
ფულად-საკრედიტო პოლიტიკა	14
საბანკო სისტემის და ბაზრის ინსტიტუციური განვითარების პერსპექტივები	15
საბანკო სისტემის კონსოლიდაცია და კონკურენციის ხელშეწყობა	15
უცხოური კაპიტალის მონაწილეობა	17
საკრედიტო და სადეპოზიტო ბაზრის განვითარების ხელშეწყობა ..	19
კორპორაციული მართვის გაუმჯობესება	19
საგადამხდელი სისტემები	21
ფინანსური მონიტორინგი	21
საერთაშორისო რეზერვების მართვა	23
III. საბანკო სისტემის განვითარების მიზნები და ამოცანები	24
IV. 2006-2009 წლებში გასატარებელი ღონისძიებანი	28
საბანკო ზედამხედველობა	28
ფულად-საკრედიტო პოლიტიკა	40
საფინანსო ბაზრების განვითარება	46
საგადამხდელი სისტემების განვითარება	48
ნალდი ფულის მიმოქცევა	49
საზოგადოებასთან ურთიერთობა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა	51
V. საბანკო სექტორის განვითარების მოსალოდნელი შედეგები	55
VI. საქართველოს საბანკო სისტემის 2009 წლამდე პერიოდის განვითარების სტრატეგიის ღონისძიებები და მათი შესრულების ვადები	57
დანართები	61

წინასიტყვაობა

ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტია ეკონომიკური მზდის მაღალი და მდგრადი ტემპების უზრუნველყოფა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ეკონომიკაში საბანკო სექტორის როლის ამაღლება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა. საბანკო სექტორის განვითარება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ქვეყანაში შექმნილ საინვესტიციო კლიმატზე, საბანკო საქმიანობის რეგულირებაზე, საფინანსო სისტემის სხვა სეგმენტებში არსებულ მდგომარეობასა და ლეპომიგების დაზღვევის სისტემის ფუნქციონირების ეფექტიანობაზე.

საქართველოში საფინანსო შუამავლობის თითქმის 99 პროცენტს საბანკო სექტორი მოიცავს, რაც იმას ნიშნავს, რომ ფინანსური რესურსების მობილიზება და მათი საინვესტიციო რესურსებად გარდაქმნა უპირატესად საბანკო ინსტიტუტების, და არა ფასიანი ქაღალდების ბაზრის, მეშვეობით ხდება. სავარაუდოდ, ასეთი ვითარება საქართველოში უახლოესი წლების განმავლობაში შეეცვლება. შესაბამისად, საბანკო სისტემას ქვეყნის ეკონომიკური მზდის ტემპის დაჩქარების თვალსაზრისით უმთავრესი როლი ეკისრება.

საბანკო სისტემის დინამიკური განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია საქართველოს ეროვნული ბანკის, კომერციული ბანკებისა და მთავრობის ერთიანი კონცეფციის არსებობა და მისი რეალიზებისათვის ერთობლივ, თანმიმდევრულ ქმედებათა განხორციელება. ამისათვის საჭიროა შესაბამისი პროგრამის შემუშავება, რომელშიც ნათლად იქნება ჩამოყალიბებული ის ძირითადი პრინციპები, რომლებსაც უნდა ეფუძნებოდეს საბანკო სისტემის ფუნქციონირება და უნდა დაისახოს მისი განვითარების კონკრეტული გზები. სწორედ ამ მიზნით შეიმუშავა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა საბანკო სისტემის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტი 2006-2009 წლებისათვის.

წინამდებარე დოკუმენტის თანახმად, საქართველოს ეროვნული ბანკისათვის საშუალოვადიანი პერსპექტივის ძირითად ამოცანას წარმოადგენს, არსებული პრობლემების თანდათანობით აღმოფხვრასა და საბანკო კონკურენციის პირობებში საბანკო სისტემის მდგრადობისა და ეფექტიანობის განმტკიცებასთან ერთად, საბანკო სექტორის დინამიკური მზდა და, შედეგად, ქვეყნის ეკონომიკაში მისი როლის ამაღლება.

არსებული ედგომარეობის მოკლე მიმოხილვა

საბანკო სისტემის ფუნქციონირების საბაზო მახასიათებლები და განვითარების ტენდენციები

დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე – 1991 წლიდან – დაიწყო საქართველოს საბანკო სისტემის ტრანსფორმირების პროცესი – შეიქმნა სათანადო საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზა, რომლის საფუძველზეც ჩამოყალიბდა ორიარუსიანი უნივერსალური საბანკო სისტემა: ერთი მხრივ, საქართველოს ეროვნული ბანკი¹, როგორც ქვეყნის მონეტარული პოლიტიკის წარმმართველი და საბანკო სისტემის მარეგულირებელი ორგანო, მეორე მხრივ კი, კომერციული ბანკების სისტემა, რომლის შექმნა 1992 წლიდან დაიწყო და მოგვიანებით (1993-1995 წლებში), ხუთი სახელმწიფო ბანკის („ექსიმბანკი“, „შემნახველი ბანკი“, „აგრომრეწვბანკი“, „მრეწველშენბანკი“ და „ბინსოცბანკი“) პრივატიზების შემდეგ, დასრულდა.

საქართველოს საფინანსო სისტემის გარდაქმნის პროცესი მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის ფონზე მიმდინარეობდა. 1991-1994 წლებში მკვეთრად შემცირდა წარმოების მოცულობა (70 პროცენტზე მეტად), რის შედეგადაც ქვეყანა უმწვავესი ფინანსური კრიზისის პირისპირ აღმოჩნდა. ფინანსურმა და პოლი-

¹ 1991 წელს, საქართველოს უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად გამოცხადდა მის ტერიტორიაზე არსებული საბჭოთა საკრედიტო სისტემის ყველა სტრუქტურა, მათ შორის სახელმწიფო ბანკი, რომლის ბაზაზეც დაფუძნდა საქართველოს ეროვნული ბანკი.

ტიკურმა დესტაბილიზაციამ ხელი შეუწყო ტრადიციული საგარეო-ეკონომიკური კავშირების მოშლას და შიდაპოლიტიკური პრობლემების გართულებას.

ამ დროისათვის საქართველოს ეროვნული ბანკი გაუმართლებლად ლიბერალურ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას ატარებდა. ამასთან, არასრულყოფილმა საბანკო კანონმდებლობამ, კომერციული ბანკების ლიცენზირებისთვის დაწესებულმა ლოიალურმა მოთხოვნებმა და ადმინისტრირების ნორმებმა (მაგ., 1994 წელს ბანკებისათვის დაწესებული მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნა რეალური გამოსხატულებით, დაახლოებით, 500 აშშ დოლარს შეადგენდა), საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ არასწორი პოლიტიკის განხორციელებამ ხელი შეუწყო ქვეყანაში საბანკო დაწესებულებების რაოდენობის სწრაფ ზრდას. თუ 1991 წელს საქართველოში მხოლოდ 5 კომერციული ბანკი ფუნქციონირებდა, 1993 წლის ბოლოს მათი რიცხვი 179 ერთეულს გაუტოლდა, ხოლო 1994 წელს ქვეყანაში 226 კომერციული ბანკი მოქმედებდა. კომერციული ბანკების უდიდესი ნაწილი უკვე 1994 წელსვე აღმოჩნდა ფინანსური სირთულეების წინაშე. ფაქტობრივად, ამ პერიოდში თითქმის ნულამდე შემცირდა დეპოზიტების მოცულობა საბანკო სექტორში, რაც უმთავრესად ჰიპერინფლაციითა და ე. წ. „პირამიდული ბანკების“ რღვევით იყო განპირობებული.

დღის წესრიგში დადგა საქართველოს საბანკო სისტემაში რეფორმების გატარების აუცილებლობა, რომელთა განხორციელება უმთავრესად საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დახმარებით დაინყო. საქართველოს ეროვნული ბანკის ღონისძიებები მიზნად ისახავდა ზოგადი მაკროეკონომიკური სტაბილურობის აღდგენას, საბანკო სისტემის რეგულირების გამკაცრებას, ყოფილი სახელმწიფო ბანკების რესტრუქტურირებასა და შემდგომში მათ პრივატიზებას.

1995 წლის 23 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“, ხოლო 1996 წლის თებერვალში კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“, რომლებითაც განმტკიცდა საქართველოს ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა და მეტი ძალაუფლება მიეცა მას საბანკო საქმიანობის ლიცენზიის შეჩერების საჩქცის გამოყენების კუთხით იმ საბანკო დაწესებულებების მიმართ, რომლებიც ვერ

აკმაყოფილებდნენ პრუდენციულ ნორმებს. საქართველოს ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობის პოლიტიკა დაეფუძნა „საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის“ მიერ შემუშავებულ და მსოფლიოში აღიარებულ „ეფექტიანი საბანკო ზედამხედველობის 25 ძირითად პრინციპს“. ამასთან, შემოღებულ იქნა საბანკო საქმიანობის რეგულირების ახალი წესები და პროცედურები, რომლებიც ითვალისწინებდა საკრედიტო რისკების ზუსტად დადგენის მიზნით აქტივების კლასიფიკაციის ახალი სისტემის შექმნას, გარე და შიდააუდიტორული საქმიანობის მონესრიგებას და საბანკო საქმიანობაში ინტერესთა კონფლიქტის გამიჯვნას. ყოველივე ამ ცვლილების შედეგად კომერციული ბანკების რაოდენობა საქართველოში მხოლოდ სამი წლის მანძილზე (1994-1997 წწ.) 173 ერთეულით შემცირდა.

1997 წლიდან საქართველოს საბანკო სისტემამ სწრაფი ტემპით დაიწყო ზრდა. საბანკო საქმიანობის განვითარების შედეგად საბანკო სექტორი, ეკონომიკის სხვა დარგებთან შედარებით, ყოველწლიურად წინმსწრები ტემპით ვითარდებოდა – 1997-2004 წლებში საფინანსო შუამავლობა, როგორც ეკონომიკური საქმიანობის ერთ-ერთი სახეობა, რეალური გამოსატყულებით თითქმის 8.7-ჯერ გაიზარდა, მაშინ, როდესაც მშპ მხოლოდ – 1.6-ჯერ, იმავე პერიოდში მშპ-ის დეფლატორის ასევე 1.6-ჯერ მატების ფონზე, ამ სფეროში შექმნილი პროდუქციის ფასი პრაქტიკულად განახევრდა (მაგ., შემცირდა სესხება-გასესხებას შორის არსებული სპრედი). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ მკვეთრ ცვლილებას დაბალი საწყისი მაჩვენებლებიც განაპირობებდა.

ეკონომიკაში საბანკო სექტორის ინტეგრაციის დონე. მართალია, საქართველოში საბანკო აქტივების მშპ-თან შეფარდების მაჩვენებელი ჯერ კიდევ დაბალია, თუმცა ბოლო პერიოდში, გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებთან შედარებით, ეს პარამეტრი მატების წინმსწრები ტემპით გამოირჩეოდა.

2005 წლის მონაცემებით, ფართო ფულის შეფარდება ნომინალურ მშპ-თან, რომელიც წარმოადგენს ფინანსური სიღრმის საზომს, შეადგენდა მხოლოდ 16.5 პროცენტს, ხოლო მთლიანი საბანკო აქტივების შეფარდება მშპ-თან დაახლოებით 17 პროცენტს. აბსოლუტური მაჩვენებლებით საქართველოს საბანკო სექტორის მთლიანი აქტივები, 2005 წლის დეკემბრის მდგომარეობით, 2.54 მლრდ ლარის ტოლი იყო. აღნიშნული მაჩვენებელი 2005 წლის მანძილზე 50 პროცენტით გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ საბანკო სექტორი თავისი მოცუ-

ლობით მეტად მცირეა, ადგილობრივ მომხმარებელს განვითარებულ ქვეყნებში სადღეისოდ არსებულ თითქმის ყველა სახის საბანკო მომსახურებას სთავაზობს. 2005 წელს გაიზარდა ასევე მშპ-თან ბანკების მთლიანი კაპიტალის შეფარდების მაჩვენებელი – თუ 2004 წელს 3.7 პროცენტს შეადგენდა, 2005 წელს 4.2 პროცენტამდე გაიზარდა, რაც საბანკო სისტემის მდგრადობის განმტკიცებაზე მეტყველებს.

საბანკო სექტორისათვის 2005 წელი განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა, რაზეც სესხების 85-პროცენტიანი ზრდა მიუთითებს. 2005 წელს სესხების მშპ-თან შეფარდებამ 14.4 პროცენტი შეადგინა, ნაცვლად 2004 წელს დაფიქსირებული 9.2 პროცენტისა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მაჩვენებელი კვლავ მეტად დაბალია, არსებული ტენდენცია ეკონომიკაში საბანკო სექტორის როლის მნიშვნელოვან ამალეებაზე მეტყველებს.

კომერციული ბანკების აქტივებისა და პასივების სტრუქტურა. საქართველოში კომერციული ბანკების აქტივების სტრუქტურის უდიდესი ნაწილი მოდის კერძო სექტორისათვის გაცემულ სესხებზე (ბანკთაშორისი სესხების გარდა), რომლის წილმაც გაცემული სესხების საერთო მოცულობაში, 2005 წლის მდგომარეობით, 67 პროცენტი შეადგინა. საქართველოს საბანკო კანონმდებლობამ კომერციულ ბანკებს უნივერსალურ საბანკო დანესებულებებად ჩამოყალიბების სრული შესაძლებლობა მისცა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ძალზე მცირეა მთლიან აქტივებში საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების ხვედრითი წილი. ხსენებული მაჩვენებელი იმავე პერიოდისათვის მხოლოდ 1.1 პროცენტს შეადგენდა. რაც შეეხება ვალდებულებებს, მათ ძირითად ნაწილს (დაახლოებით 63.6 პროცენტი) არასაბანკო და საბანკო დეპოზიტები წარმოადგენს, ამასთან, საკმაოდ მაღალია ნასესხები სახსრების ოდენობაც. ამ უკანასკნელის წილმა მთლიან ვალდებულებებში, 2005 წლის დეკემბრის მდგომარეობით, 21.8 პროცენტი შეადგინა. კრედიტების დარგობრივი განაწილების მხრივ კი აღსანიშნავია, რომ 55 პროცენტი გაიცა ვაჭრობის, 21 პროცენტი მრეწველობისა და დაახლოებით 8 პროცენტი მშენებლობის სფეროებისათვის.

დაკრედიტების ხარისხი. საკრედიტო პორტფელის ხარისხის ერთ-ერთ უმთავრეს მაჩვენებელს მასში ე. წ. ვადაგადაცილებული სესხების წილი წარმოადგენს. საგულისხმოა, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში ამ მაჩვენებლის კლების ტენდენცია შეინიშნება – 2005 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასეთი კატეგორიის სესხების წილი საბანკო სექტორის მთლიან საკრედიტო პორტფელში

მხოლოდ 1.3 პროცენტს შეადგენდა. ასევე მნიშვნელოვანი ინდიკატორია გრძელვადიანი (ერთ წელზე მეტი) დაკრედიტების წილი მთლიანი საკრედიტო პორტფელის მოცულობაში. ამ მაჩვენებელთან მიმართებით შეინიშნება ზრდის სტაბილური ტენდენცია – თუ 2000 წელს გრძელვადიანი კრედიტების წილი მთლიან საკრედიტო პორტფელში, დაახლოებით, 27 პროცენტი იყო, 2005 წლის დეკემბრის მდგომარეობით, იმავე კატეგორიის კრედიტების წილი 64.2 პროცენტამდე გაიზარდა.

საპროცენტო განაკვეთები. უკანასკნელ წლებში საბაზრო საპროცენტო განაკვეთების შემცირების სტაბილური ტენდენცია შეინიშნება. აღნიშნული განსაკუთრებით დამახასიათებელია სასესხო საპროცენტო განაკვეთებისათვის, რომელთა კლებამ ხელსაყრელი გარემო შექმნა ქვეყანაში ბიზნესის განვითარებისათვის. 2004 წლის მანძილზე კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთი 27 პროცენტიდან 21 პროცენტამდე, ხოლო 2005 წლის ბოლოსათვის 19.5 პროცენტამდე შემცირდა. რაც შეეხება ეროვნული ვალუტით არსებულ საპროცენტო განაკვეთებს, ეს მაჩვენებელიც მნიშვნელოვნად შემცირდა – 2004 წელს 20 პროცენტიდან 17.4 პროცენტამდე, 2005 წლის ბოლოს კი 15.9 პროცენტი შეადგინა. ამავე პერიოდში ასევე შეიცვალა მოზიდული დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთების დინამიკაც. კერძოდ, უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტებისათვის ეს მაჩვენებელი 2004-2005 წლების განმავლობაში 9 პროცენტიდან 7.8 პროცენტამდე შემცირდა, ხოლო ეროვნულ ვალუტაში 8.6 პროცენტიდან 9.3 პროცენტამდე გაიზარდა.

დოლარიზაცია. საქართველოს საბანკო სექტორში დეპოზიტების დიდი ნაწილი კვლავ კონცენტრირებულია უცხოური ვალუტით, თუმცა სახეზეა მისი ხვედრითი წილის შემცირების ტენდენციაც. კერძოდ, 2004-2005 წლებში კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტების დოლარიზაციის კოეფიციენტი 86 პროცენტიდან 71 პროცენტამდე შემცირდა. ამავე პერიოდში მიმდინარე დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელმა 60.4 პროცენტიდან 51.9 პროცენტამდე დაიწია. ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი უმნიშვნელოდ არის შემცირებული და ძირითადად განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ საზოგადოება ფულადი დანაზოგების გარკვეული ვადით შენახვის თვალსაზრისით უპირატესობას ჯერ კიდევ უცხოურ ვალუტას ანიჭებს, რაც დამახასიათებელია გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვნად შემცირდა სესხების დოლარიზაციის მაჩვენებელიც, იგი ჯერ კიდევ მაღალ მაჩვენებლად მიიჩნევა – 2004-2005 წლებში 88 პროცენტიდან 74.4 პროცენტამდე შემცირდა. განსაკუთრებული ოდენობით კლება დაფიქსირდა მოკლევადიანი სესხების დოლარიზაციის კოეფიციენტთან მიმართებით, რომელიც ზემოთ აღნიშნულ პერიოდში 83 პროცენტიდან 57.7 პროცენტამდე დაეცა, მაშინ, როდესაც გრძელვადიანი სესხების დოლარიზაციის კოეფიციენტი 96 პროცენტიდან 84.5 პროცენტამდე შემცირდა.

უცხოური კაპიტალის მონაწილეობა. საქართველოს რეზიდენტი კომერციული ბანკების კაპიტალში უცხოური საფინანსო და არასაფინანსო ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების ინვესტიციები 2005 წლის 31 დეკემბრისათვის საბანკო სექტორის მთლიანი კაპიტალის 50 პროცენტს შეადგენდა. კაპიტალში უცხოური ინვესტიციების მონაწილეობით, 2005 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოში ფუნქციონირებდა 10 კომერციული ბანკი, რომელთა ხვედრითი წილი საბანკო სექტორის მთლიან აქტივებში 76 პროცენტს შეადგენდა. უცხოელები ამ ბანკების კაპიტალში 50 პროცენტზე მეტს ფლობდნენ. უცხოური კაპიტალის მონაწილეობით მოქმედი 10 კომერციული ბანკიდან 6 ბანკის კაპიტალში ინვესტიციები განხორციელებული აქვს სხვადასხვა უცხოურ და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციას, რომელთა შორის არიან: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), „საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია“ (IFC), გერმანიის ინვესტიციებისა და განვითარების კომპანია (DEG), გერმანიის „ალმშენბლოხის საკრედიტო დანესებულება“ (KfW), სს „პროკრედიტ ჰოლდინგი“, გერმანული „კომერცბანკი“, რუსული „ვენშტორგბანკი“, ყაზახური „ბანკი ტურან ალემი“, ავსტრიული „ბანკ ავსტრია კრედიტანშტალტი“, სომხური „კასკად ბანკი“ და სხვ. გარდა ამისა, საქართველოს საბანკო სივრცეში ფუნქციონირებს ასევე თურქული „ზირაათ ბანკისა“ და აზერბაიჯანული „კავკასიის განვითარების ბანკის“ თბილისის ფილიალები.

საბანკო სექტორის კონცენტრაცია. კონსოლიდაციისა და კონცენტრაციის პროცესების გააქტიურებით განვითარებული მოვლენების შედეგად საბანკო ბაზარზე მყარად ჩამოყალიბდა რამდენიმე სერიოზული ჯგუფი. ესენია:

- დიდი ბანკების ჯგუფი, 6 ბანკის შემადგენლობით. თითოეული ბანკის წილად საბანკო სისტემის მთლიანი აქტივების 5 პროცენტზე

მეტი მოდის (ჯგუფი საბანკო სისტემის მთლიანი აქტივების 87 პროცენტს ფლობს);

- საშუალო ბანკების ჯგუფი წარმოდგენილია 3 ბანკისაგან, რომელთაგან თითოეული საბანკო სისტემის მთლიანი აქტივების 1 პროცენტიდან 5 პროცენტამდე აქტივების მფლობელია (მთლიანი აქტივების 7 პროცენტი);
- წვრილი ბანკების ჯგუფი შედგება 10 ბანკისაგან და თითოეული მათგანის აქტივები საბანკო სისტემის მთლიანი აქტივების 1 პროცენტზე ნაკლებს მოიცავს (მთლიანი აქტივების 6 პროცენტი).

მიუხედავად იმისა, რომ 2005 წლის 31 დეკემბრისათვის საქართველოში ფუნქციონირებდა 19 ბანკი, საბანკო სექტორის მთლიანი აქტივების 87 პროცენტი და დეპოზიტების 89 პროცენტი კონცენტრირებული იყო დიდი ბანკების ჯგუფში. 2005 წელს საბანკო სექტორის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ზრდა ძირითადად დიდმა ბანკებმა განაპირობეს, რომელთა ფინანსური სიჯანსაღე ფაქტობრივად განსაზღვრავდა მთლიანად საბანკო სექტორის სტაბილურობას. საბანკო ბაზარზე ძირითადი კონკურენცია სწორედ დიდი ბანკების ჯგუფში მიმდინარეობდა და სწორედ ისინი იყვნენ ბაზარზე ახალი საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების ათვისება-დანერგვის ინიციატორები.

რენტაბელობა. მოგების მაჩვენებლები ბანკების წარმატებული საქმიანობის შეფასების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმია. საბანკო სექტორის 2005 წლის წმინდა მოგების უკუგებას აქტივებზე (ROA) 3.1 პროცენტი შეადგინა, ხოლო უკუგებას კაპიტალზე (ROE) – 14.9 პროცენტი.

2005 წელს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები 50 პროცენტით გაიზარდა და 2.5 მლრდ ლარი შეადგინა. რაც შეეხება ბანკების სააქციო კაპიტალს, წინა წელთან შედარებით აღნიშნული მაჩვენებლის მოცულობა 28 პროცენტით გაიზარდა და 479 მლნ ლარს გაუტოლდა. საბანკო სისტემის მოგება 2004 წელთან შედარებით, ასევე მნიშვნელოვნად, 125 პროცენტით, 61 მლნ ლარამდე გაიზარდა.

2005 წლის განმავლობაში საბანკო სექტორის მიერ მოზიდული დეპოზიტები 31 პროცენტით გაიზარდა, მათ შორის, ეროვნული ვალუტით – 45 პროცენტით, ხოლო უცხოური ვალუტით 26.4 პროცენ-

ტით. დეპოზიტების მოცულობის ასეთი მაღალი ტემპით მატება საბანკო სექტორის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებაზე მეტყველებს.

2005 წლის ბოლოს საბანკო სისტემის მთლიანმა სესხებმა 1.7 მლრდ ლარი შეადგინა, რაც 83 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. მათ შორის, სესხები ეროვნული ვალუტით გაიზარდა 200 პროცენტით, ხოლო უცხოური ვალუტით 67 პროცენტით.

2005 წელს მნიშვნელოვნად, 23.9 პროცენტით გაიზარდა საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო სავალუტო რეზერვების მოცულობა და წლის ბოლოსათვის 474.8 მლნ დოლარი შეადგინა. ამავდროულად, 2005 წელს 5.4 პროცენტით გამყარდა ლარის ნომინალური გაცვლის კურსი აშშ დოლარის მიმართ. აღნიშნული პარამეტრის საშუალო მაჩვენებელმა 1.8126 ლარი შეადგინა. 2004 წელთან შედარებით ასევე იკლო ინფლაციის წლიური მაჩვენებლის ოდენობამ, რომელმაც 2005 წელს 6.2 პროცენტი შეადგინა.

საგადამხდლო სისტემები. გასული საუკუნის 90-იან წლებში საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დახმარებით შესაძლებელი გახდა დაწყებულიყო სამუშაოები დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემის შემუშავებისა და მსოფლიო ბანკთაშორისი საფინანსო ტელესაკომუნიკაციო (SWIFT) ცენტრალიზებული სისტემის დანერგვისათვის. დაარსდა საბანკო პლასტიკური ბარათების საპროცესინგო კომპანიები, ბანკებმა დაიწყეს საერთაშორისო პლასტიკური ბარათების ემისია. უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა ბანკომატების ქსელი ქ. თბილისში, ასევე განხორციელდა სხვადასხვა სტრუქტურის თანამშრომელთათვის ხელფასების პლასტიკური ბარათებით გაცემის პროექტები.

დღეისათვის საბანკო გადარიცხვების წარმოება მხოლოდ უქალაქოდ ტექნოლოგიით ხდება, დანერგილია VISA პლასტიკური ბარათების მეშვეობით ეროვნული ვალუტით განხორციელებული ოპერაციების კლირინგის (GNSS) სისტემა. კომერციულ ბანკებში ფართოდ გამოიყენება ფულადი გზავნილების საერთაშორისო და ლოკალური სისტემები. პლასტიკური ბარათებით 2004 წელს განხორციელებულმა ტრანზაქციებმა 68 მლნ ლარი შეადგინა, 2005 წელს კი ეს მაჩვენებელი 126 მლნ ლარამდე გაიზარდა.

II

საბანკო სისტემის უმდბოში ბანკითარებისათვის აუცილებელი პირობები

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა

სტაბილური გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისათვის აუცილებელი პირობაა დაბალი და პროგნოზირებადი ინფლაცია. ამიტომ საქართველოს ეროვნული ბანკის ძირითად ფუნქციას, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ცენტრალური ბანკების აბსოლუტური უმრავლესობის მსგავსად, ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. სწორედ სტაბილური ფასების პირობებში ხდება რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანად გადანაწილება, რაც საბანკო სისტემაში არსებული ფულადი სახსრების ოპტიმალურად გამოყენების საშუალებას იძლევა, ხოლო ეკონომიკურ აგენტებს თავიანთი დანაზოგების სწორად განთავსების ან საკრედიტო რესურსების მოზიდვის პირობებს უქმნის.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ქვეყანაში გაცვლის კურსის მოკლევადიანი რყევების შემცირება სავალუტო ბაზარზე, განსაკუთრებით საქართველოს პირობებში, როდესაც მოსახლეობისათვის ე. წ. „ნომინალური ღუზა“ სწორედ ლარის გაცვლის კურსია და მოკლევადიანი გადანყვეტილებების მიღებაც მისი დინამიკიდან გამომდინარე ხდება.

საქართველოს ეროვნული ბანკის ამოცანაა საბანკო სექტორის განვითარების სტიმულირება უპირატესად ეკონომიკური მეთოდე-

ბით. ამასთან, საქართველოს ეროვნული ბანკი მიიჩნევს, რომ საბანკო მომსახურების მასშტაბების ზრდა არ უნდა იქნეს მიღწეული საბანკო სექტორის მდგრადობის საზიანოდ.

საბანკო სისტემისა და ბაზრის ინსტიტუციური განვითარების პერსპექტივები

საბანკო სექტორის სტრუქტურის სრულყოფა ხელს უწყობს მისი ეკონომიკური როლის ამაღლებას, საბანკო მომსახურების მიმართ მოთხოვნების დაკმაყოფილებას, საშუაშაველო ფუნქციების ხარისხიანად შესრულებას და ბიზნესის ამ სფეროში კონკურენციის უნივერსალურ დონეზე განვითარებას.

საკრედიტო ორგანიზაციების სპეციალიზება ცალკეული საბანკო პროდუქტების, ოპერაციებისა თუ საქმიანობის სახეობების მიხედვით უნდა ეფუძნებოდეს ნებაყოფლობით პრინციპს, რომელიც გამორიცხავს ადმინისტრაციული მეთოდების თავსმობხვევას სპეციალიზების კონკრეტული ფორმების ბანკებისათვის. ამავე დროს, აღნიშნული პრინციპი გულისხმობს, რომ საქმიანი აქტივობის სფეროების შერჩევასა და განწყვეტილების მიღების მთელი პასუხისმგებლობა თვით კომერციულ ბანკებს ეკისრებათ. ამასთან, საქართველოს ეროვნული ბანკი არ გამორიცხავს საბანკო საქმიანობის ცალკეულ სახეობებზე ან საბანკო პროდუქტებზე სპეციალიზებული ბანკების მიმართ რეგულირებისა და ზედამხედველობის განსხვავებული მიდგომების გამოყენებას.

საბანკო სისტემის კონსოლიდაცია და კონკურენციის ხელშეწყობა

ქვეყანაში საბანკო სისტემის შემდგომი განვითარებისა და თითოეული კომერციული ბანკის სტაბილურობისათვის აუცილებელია მხოლოდ კარგად კაპიტალიზებული, გამჭვირვალე და ფინანსურად ჯანსაღი საბანკო ინსტიტუტების არსებობა. ბანკების კაპიტალიზაციის დონის ამაღლების უმთავრესი მექანიზმია კაპიტალის მიმართ მინიმალური მოთხოვნების დაწესება.

დღეისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკების საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა განისაზღვრება 12 მლნ ლარის ოდენობით. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის მაძიებელი იურიდიული სუბიექტისათვის საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობის – 12 მლნ ლარის ქონა

სავალდებულო საბანკო ლიცენზიის აღებისთანავე. უკვე მოქმედმა ლიცენზირებულმა კომერციულმა ბანკებმა და უცხოური ბანკების ფილიალებმა ამ მოთხოვნის შესრულება უნდა უზრუნველყონ ეტაპობრივად, 2007 წლის 31 ივნისისათვის. მათ შორის, 2006 წლის 31 დეკემბრისათვის სახედამხედველო კაპიტალი უნდა შეადგენდეს არანაკლებ 9.2 მლნ ლარს. ასევე აღსანიშნავია, რომ სამომავლოდ საქართველოს ეროვნული ბანკი მკაცრ პოლიტიკას გაატარებს იმ ბანკების მიმართ, რომლებიც არ ან ვერ დააკმაყოფილებენ მოთხოვნებს მინიმალური სახედამხედველო კაპიტალის შესახებ.

საქართველოს ეროვნული ბანკი მომხრე იქნება, თუ ბანკებისთვის მინიმალური სახედამხედველო კაპიტალის მიმართ დაწესებული მოთხოვნები საბანკო სექტორში კონსოლიდაციის პროცესს განაპირობებს – მცირე ბანკების შერწყმას ანდა მათ მიერთებას საშუალო ან დიდ ბანკებთან. ბანკების შერწყმა-გაერთიანების პროცესი უნდა წარიმართოს ნებაყოფლობითი პრინციპით. კომერციული ბანკების რეორგანიზებისას, საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც საბანკო საქმიანობაში ანტიმონოპოლიური პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანოს, ჩარევა მოხდება საბანკო სისტემაში ჯანსაღი კონკურენციის შენარჩუნების მიზნით.

რეორგანიზების ყველა პროცედურა მკაცრად უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სამართლებრივ ნორმებს. პროცესი უნდა განხორციელდეს მხოლოდ იმ პირობით, თუ რეორგანიზების შედეგად შექმნილი ბანკი სრულად დააკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მოთხოვნებს.

საბანკო სექტორის სტრუქტურის პარამეტრების შეცვლა (კაპიტალის კონცენტრაცია, ცალკეული სახეობის მომსახურების განწევა, საკრედიტო ორგანიზაციების განვითარება რეგიონების მიხედვით და სხვ.) უნდა ხდებოდეს საბაზრო პრინციპებზე დაყრდნობით. სახელმწიფოს როლი შემოიფარგლება საკანონმდებლო ფუნქციით და კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესების რეგულირების მეშვეობით ისეთი პირობების შექმნით, რომლებიც ხელს შეუწყობს საბანკო სექტორის განვითარების მიზნების ოპტიმალურ რეალიზებას, კერძოდ, ესენია:

- საკრედიტო ორგანიზაციების კრედიტორების, მეანაბრეების, კლიენტებისა და მესაკუთრეების ინტერესების დაცვა;

- საბანკო მომსახურების ბაზრის განვითარება;
- საბაზრო დისციპლინის განმტკიცება და საბანკო მომსახურების ბაზარზე კონკურენციის განვითარება;
- საკრედიტო კულტურისა და დისციპლინის ამაღლება.

ანტიმონოპოლიური რეგულირების ორგანოების მუდმივი ყურადღების ობიექტი უნდა გახდეს ყველა დონის სახელისუფლებო ორგანოს გადანყვეტილებები და ქმედებები, თუ ისინი დაბრკოლებებს შეუქმნიან საბანკო სექტორის განვითარებას ან საბანკო მომსახურების ბაზარზე კონკურენციის ამაღლებას.

საბანკო მომსახურების ბაზარზე ჯანსაღი კონკურენციის განვითარების სამართლებრივი ბაზის განმტკიცების მიზნით, ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობაში ცვლილებების მომზადებისას საქართველოს ეროვნული ბანკი იხელმძღვანელებს საბანკო სფეროში ანტიმონოპოლიური რეგულირების საერთაშორისო გამოცდილებით, რომელიც, პირველ რიგში, უკავშირდება მომხმარებლის ინტერესების დაცვასა და მომსახურების კონცენტრაციის საკითხების განხილვას, მაგალითად, საკრედიტო ორგანიზაციების შერწყმის, გაერთიანებისა და გარდაქმნის შემთხვევაში.

საქართველოს ეროვნული ბანკი არ დაანებს რაიმე სახის შეზღუდვას საბანკო ბაზარზე ბანკების რაოდენობასთან დაკავშირებით. ბაზარი ღია იქნება ფინანსურად ძლიერი და ჯანსაღი ნებისმიერი ინვესტორისათვის. საქართველოს ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს ყველა რეზიდენტი და არარეზიდენტი საბანკო დაწესებულებისათვის ერთიანი და თანაბარი პირობების შენარჩუნებას. საბანკო სექტორში უცხოური კაპიტალის დაშვების რეჟიმი ორიენტირებული იქნება საბაზრო ურთიერთობებზე.

უცხოური კაპიტალის მონაწილეობა

ქვეყნის საბანკო მომსახურების ბაზარზე უცხოური კაპიტალის შემოდინება განიხილება როგორც საბანკო სექტორის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი. უცხოური კაპიტალის შემოსვლას თან ახლავს საბანკო მომსახურების ბაზარზე თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ახალი ფინანსური პროდუქტების დანერგვა, საკრედიტო ორგანიზაციებში კორპორაციული მართვის კულტურის ამაღლება, საბანკო დაწესებულებებს შორის კონკურენციის განვითარება და საბანკო საქმის სრულყოფა.

თავის მხრივ, საქართველოს საბანკო სექტორში უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად აუცილებელია კორპორაციული მართვის ხარისხის ამაღლება, აგრეთვე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პრინციპების სრულყოფილად და ეფექტიანად რეალიზების უზრუნველყოფა.

საბანკო სექტორის მიმართ უცხოელი ინვესტორების დაინტერესების ზრდას და ნდობის ამაღლებას ხელს შეუწყობს საერთაშორისოდ აღიარებული დამოუკიდებელი სარეიტინგო კომპანიების მიერ საქართველოს კომერციული ბანკების შეფასება და მათთვის რეიტინგის მინიჭება. ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიების მიერ თავად ქვეყნის რეიტინგის განსაზღვრა. ამ მხრივ, მეტად საგულისხმოა 2005 წლის დეკემბერში კომპანია „Standard & Poor’s“-ის მიერ საქართველოსათვის გრძელვადიანი სუვერენული საკრედიტო რეიტინგის „B+“ და მოკლევადიანი სუვერენული საკრედიტო რეიტინგის „B“ მინიჭება. საგულისხმოა, რომ „პოზიტიურად“ სახელდება პროგნოზი ქვეყნის რეიტინგის ცვლილების მიმართ.

ქვეყნისათვის საკრედიტო რეიტინგის მინიჭება გაზრდის ინვესტორების ნდობას, რაც, თავის მხრივ, საქართველოს საბანკო სექტორს საკრედიტო რესურსების იაფად მოზიდვის საშუალებას მისცემს. გარდა ამისა, ქვეყნის საერთაშორისო რეიტინგის არსებობა საქართველოს კომერციულ ბანკებს მაღალი საკრედიტო რეიტინგის მიღებაში შეუწყობს ხელს. დღეისათვის ორ ქართულ ბანკს საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოსაგან „Fitchrating“ უკვე მინიჭებული აქვს საკრედიტო რეიტინგი – „B“.

საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგის შემდგომი ზრდა შესაძლებელია წარმატებული პრივატიზების პროცესის გაგრძელების, ენერგეტიკის სექტორის ეფექტიანი რესტრუქტურირებისა და მთავრობის ფინანსური მაჩვენებლების გამჭვირვალობის ზრდის შემთხვევაში.

ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის შექმნის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი შეინარჩუნებს ლიბერალურ სავალუტო რეჟიმს, არ დაუშვებს კაპიტალის თავისუფალი მოძრაობის შეზღუდვას, რაც უცხოელ ინვესტორებს საშუალებას მისცემს, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე დააბანდონ რესურსები ქვეყნის ეკონომიკაში ად-

გილობრივი საბანკო სისტემის მეშვეობით და განახორციელონ მიღებული მოგების დაუბრკოლებელი რეპატრირება.

საკრედიტო და სადეპოზიტო ბაზრის განვითარების ხელშეწყობა

ბანკების საკრედიტო საქმიანობის განვითარება მნიშვნელოვანნილად დამოკიდებულია ეკონომიკის არასაფინანსო სექტორზე, ეკონომიკის სხვადასხვა დარგში სტრუქტურული გარდაქმნების ტემპებსა და სპეციფიკაზე, კრედიტორთა უფლებების დაცვის ხარისხზე, აგრეთვე ეკონომიკის რეალურ სექტორში მოქმედი ორგანიზაციების ფინანსურ მდგომარეობასა და საკუთრების სტრუქტურის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობაზე.

საქართველოს ეროვნული ბანკი აუცილებლობად მიიჩნევს საწარმოთა აღრიცხვისა და ანგარიშგების შემდგომ სრულყოფას, მათ შორის, ბანკებისა და მათი შვილეული ორგანიზაციების კონსოლიდირებული ანგარიშგების შედგენისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფას, რაც ბანკების მხრიდან მსესხებლების საქმიანობისა და მათი ფინანსური მდგომარეობის უფრო ხარისხიანი და ოპერატიული მონიტორინგის პირობას ქმნის.

რეგიონულ და სოფლის დონეზე ფინანსების გადანაწილების, მცირე მეწარმეობის განვითარებისა და ფულის მიმოქცევის ხელშეწყობისათვის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად საქართველოს ეროვნული ბანკი განიხილავს საკრედიტო კავშირებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სეგმენტის განვითარებას, რაც საფუძველს ჩაუყრის საკრედიტო ურთიერთობებს რეგიონში. აღნიშნული უზრუნველყოფს მცირე ბიზნესის განვითარებას, ახალი, მცირე საწარმოების ფუნქციონირებას სოფლად და, შესაბამისად, დაკრედიტების თანამედროვე კულტურის ჩამოყალიბებასა და სოფლის მოსახლეობის დასაქმებას.

კორპორაციული მართვის გაუმჯობესება

კორპორაციული მართვის პრინციპების სათანადო რეჟიმის დაწერგვა საბანკო დაწესებულებებს დაეხმარება, უზრუნველყონ საკუთარი კაპიტალის ეფექტიანად გამოყენება. ასევე აუცილებელი პირობაა დაინტერესებულ პირთა ფართო წრისა და საზოგადოების იმ წევრთა ინტერესების გათვალისწინება, სადაც საბანკო დაწესებულებები

განახორციელებენ თავიანთ საქმიანობას, რადგან აღნიშნული უზრუნველყოფს მმართველობითი ორგანოების ანგარიშვალდებულებას თავად საბანკო დაწესებულებისა და მისი აქციონერების წინაშე. ერთი მხრივ, ეს ხელს შეუწყობს საბანკო დაწესებულებებს მთელი საზოგადოების საკეთილდღეოდ საქმიანობაში და, მეორე მხრივ, დახმარებას გაუწევს მათ ინვესტორების ნდობის გაღრმავებისა და შენარჩუნების თვალსაზრისით.

ამ პრინციპების განვითარებისა და რეალიზებისათვის აუცილებელი წინაპირობაა საბანკო და სამენარმეო საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, რომელმაც უნდა დაარეგულიროს და დახვეწოს კორპორაციული მართვის საკითხები საბანკო დაწესებულებებში. აღნიშნული გულისხმობს მმართველობით ორგანოებს, აქციონერებს, ადმინისტრაციასა და სხვა დაინტერესებულ პირებს შორის ურთიერთობათა კომპლექსს და მათი რეალიზების საშუალებებს. კორპორაციული მართვის პრინციპების სრულყოფის საკითხები უნდა ეფუძნებოდეს ამ სფეროში უკვე მიღწეულ შედეგებსა და გამოცდილებას.

საბანკო საქმიანობის ავტომატიზაციის დონის ამაღლების, საბანკო მომსახურების ინფორმაციულ-ანალიტიკური სისტემებისა და ტექნოლოგიების, მათ შორის დისტანციური მართვის გათვალისწინებით, განსაკუთრებით მხედველობაშია მისაღები ამ პროცესებთან დაკავშირებული საბანკო რისკების ტიპური ფაქტორები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა ყურადღების გამახვილება საბანკო ავტომატიზებული სისტემების საიმედოობის, მათი რეზერვირების (დუბლირების) უზრუნველყოფის საკითხებზე, აგრეთვე ამ სისტემებზე გარეშე მოვლენების ნეგატიური ზემოქმედების შემთხვევაში, მათი უწყვეტი ფუნქციონირების აღდგენის ეფექტიანი გეგმების შემუშავებაზე.

საქართველოს ეროვნული ბანკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იმას, რომ საქართველოში მოქმედმა კომერციულმა ბანკებმა გაიზიარონ „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ მიერ შემუშავებული კორპორაციული მართვის პრინციპები. ბანკების მიერ სხვადასხვა რისკის მართვისა და შიდა კონტროლის სისტემების შეფასებასთან ერთად, საქართველოს ეროვნული ბანკი ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევს კორპორაციული მართვის ხარისხის შეფასების განხორციელების საკითხს, რასაც ამ უკანასკნელის ოპტიმალურობისათვის აუცილებელ ფაქტორად განიხილავს.

„ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის“ კორპორაციული მართვის პრინციპების დანერგვა და მათი დაცვის აუცილებლობის თაობაზე საბანკო საზოგადოების ინფორმირება უზრუნველყოფს საბანკო ბიზნესის გამჭვირვალობას, ხელს შეუწყობს ბანკების კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და საბანკო საქმის კულტურის დამკვიდრებას.

საგადამხდლო სისტემები

საქართველოს ეროვნული ბანკი საფინანსო სექტორისა და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირებისა და სტაბილურობის განმტკიცების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად განიხილავს საქართველოს საგადამხდლო სისტემების მოდერნიზებასა და უნაღდო ანგარიშსწორების ფორმების შემდგომ სრულყოფა-გაფართოებას. ამ მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი მომავალშიც აქტიურად გააგრძელებს საქმიანობას.

მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით, უნაღდო ანგარიშსწორების გრძელვადიანი განვითარებისა და საზოგადოების ფართო ფენების ფულადი სახსრების საბანკო სფეროში მოზიდვის ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულება საბანკო პლასტიკური ბარათებით ოპერაციების შემდგომი გაფართოებაა. ქვეყანაში პლასტიკური ბარათებით ანგარიშსწორების ფორმის ფართო მასშტაბით დამკვიდრება მაკროეკონომიკური მაჩვენებლების პოზიტიურ ცვლილებებს განაპირობებს.

ფინანსური მონიტორინგი

საქართველოს საბანკო სექტორის და მთლიანად საფინანსო სისტემის საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველსაყოფად, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება უკანონო შემოსავლების ლეგალიზებისა და ტერორიზმის დაფინანსების პროცესებში ქვეყნის კომერციული ბანკებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების შესაძლო მონაწილეობის აღკვეთას. ამასთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში 2004 წლის პირველი იანვრიდან მოქმედებს „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც განსაზღვრავს „ფულის გათეთრებას“ და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის მექანიზმის მოქმედების სამართლებრივ ნორმებს. ამ კანონის საფუძველზე, დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირის

სტატუსით, საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეიქმნა საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური, რომლის ძირითადი ფუნქციებია უკანონო შემოსავლის ლეგალიზებისა და ტერორიზმის დაფინანსების ფაქტების გამოვლენა და კანონით დადგენილი პრევენციული ზომების გატარება.

თავის მხრივ, ზემოაღნიშნული კანონის თანახმად, საქართველოს ეროვნული ბანკი, ზედამხედველობას უწევს კომერციულ ბანკებს, ვალუტის გადამცვლელ პუნქტებსა და არასაბანკო სადეპოზიტო ორგანიზაციებს – საკრედიტო კავშირებს, მათთვის კანონით დაკისრებული ვალდებულებების შესრულების კონტროლის მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული ბანკი სისტემატურად ამონმებს თავისი ზედამხედველობის სფეროში მყოფ სტრუქტურებს და კანონის, აგრეთვე მის საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტების მოთხოვნების დარღვევათა გამოვლენის შემთხვევაში შესაბამის სანქციებს იყენებს მათ მიმართ. ამასთანავე, საქართველოს ეროვნულ ბანკს შექმნილი აქვს სათანადო ნორმატიული ბაზა, რომელიც მოიცავს როგორც შემონმების ნესებსა და მეთოდუკას, ისე საჯარიმო სანქციების გამოყენების სამართლებრივ პროცედურებს. აღსანიშნავია, რომ უკანონო შემოსავლების ლეგალიზებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთასთან დაკავშირებული ვალდებულებების განხორცილებისას საქართველოს ეროვნული ბანკი, კანონით განსაზღვრულ ფარგლებში, მჭიდროდ თანამშრომლობს ფინანსური მონიტორინგის სამსახურთან – ხდება ინფორმაციის ურთიერთგაცვლა, სისტემატურად იმართება საკონსულტაციო და სამუშაო შეხვედრები, ერთობლივად მუშავდება მეთოდოლოგიური და ნორმატიული დოკუმენტები და ა.შ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უახლოეს მომავალში საქართველოს ეროვნულ ბანკს, ფინანსური მონიტორინგის სამსახურთან თანამშრომლობის გაღრმავების პარალელურად, დაგეგმილი აქვს იმ აუცილებელ ღონისძიებათა გატარება, რომლებიც ხელს შეუწყობს ამ სამსახურის შემდგომ განვითარებასა და შესაბამისი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზის სრულყოფას მისი საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მიმართულებით. ამასთანავე, საქართველოს ეროვნული ბანკის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, არ დაუშვას დანაშაულებრივი წრეების მიერ მისი ზედამხედველობის სფეროში არსებული საფინანსო ინსტიტუტების გამოყენება „ფულის გათეთრებისა“ და ტერორიზმის დაფინანსების ოპერაციების განსახორციელებ-

ლად და ამ ინსტიტუტების მონაწილეობა ფინანსურ მაქინაციებსა და სხვა უკანონო ქმედებებში. ამ ამოცანის შესასრულებლად საჭიროა უზრუნველყოფილ იქნეს თითოეული საფინანსო დაწესებულების მიერ „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის, მის საფუძველზე ფინანსური მონიტორინგის სამსახურისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიღებული ნორმატიული აქტებით დადგენილი ნორმების ზედმინევენით შესრულება.

საერთაშორისო რეზერვების მართვა

საქართველოს ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვების მართვა მისი უმთავრესი პრინციპებისა და სტრატეგიის – საიმედოობა, ლიკვიდობა, შემოსავლიანობა – შესაბამისად განხორციელდება.

საერთაშორისო რეზერვების აკუმულირებასთან ერთად, როგორც საკრედიტო, ისე საბაზრო რისკის მინიმიზებისა და საინვესტიციო პორტფელის დივერსიფიცირების მიზნით, გაგრძელდება უმაღლესი საკრედიტო რეიტინგის მქონე კონტრაგენტი ბანკებისა და ფინანსური ინსტრუმენტების მოძიება და მათი რეზერვების მართვის პროცესში დანერგვა.

მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა საერთაშორისო რეზერვების ლიკვიდობის მკაცრ კონტროლს, რათა საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, როგორც მთავრობის ბანკირმა, ოპერატიულად უზრუნველყოს უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნის დაკმაყოფილება.

საერთაშორისო სავალუტო და ფულად ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით და საინვესტიციო პორტფელიდან მიღებული შემოსავლების ზრდის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი ახალი ფინანსური ინსტრუმენტების დანერგვასთან ერთად გააგრძელებს თავის საქმიანობას საინვესტიციო პორტფელის ვადიანობის ზრდის მიმართულებითაც.

საქართველოს საბანკო სისტემის სადღილი სფეროში დასაქმებული პერსონალის პროფესიონალიზმის ასამაღლებლად გაგრძელდება ზოგადი სტანდარტების შემუშავება და მისი რეალიზება.

III

საბანკო სისტემის განვითარების მიზნები და ამოსახნები

წარმოდგენილი სტრატეგიული დოკუმენტის თანახმად, 2006-2009 წლებში საბანკო სექტორის განვითარების ძირითადი მიზნებია:

- ფინანსური შუამავლობის დონის ამაღლება და საბანკო სექტორის ეფექტიანობის ზრდა;
- საქართველოს საბანკო სექტორისადმი ნდობის ამაღლება;
- საბანკო ზედამხედველობის ეფექტიანობის გაუმჯობესება;
- საბანკო სექტორში კორპორაციული მართვის ხარისხის გაუმჯობესება;
- საქართველოს კომერციული ბანკების კონკურენტუნარიანობის ზრდა;
- საბანკო სექტორის მდგრადობის უზრუნველყოფა;
- არაკეთილსინდისიერი კომერციული საქმიანობის განხორციელების და მართლსაწინააღმდეგო მიზნით (როგორცაა, პირველ რიგში, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული შემოსავლების ლეგალიზება) კომერციული ბანკების გამოყენების მცდელობათა აღკვეთა;
- საბანკო ბაზარზე კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა და საკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
- საქართველოს საბანკო კანონმდებლობის ჰარმონიზება ევროკავშირის კანონმდებლობასთან;
- საბანკო ბიზნესის ინფრასტრუქტურის განვითარება.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად 2006-2009 წლებში დღის წესრიგში დგას შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

- ✓ საბანკო სისტემის ძირითადი ფინანსური მახასიათებლების (მთლიანი აქტივები, მთლიანი სესხები და სხვ.), სტაბილური ზრდის უზრუნველყოფა როგორც აბსოლუტური მაჩვენებლებით, ისე მშპ-თან მიმართებით;
- ✓ საბანკო საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა;
- ✓ ბანკების არასაპროცენტო ხარჯების საპროცენტო და არასაპროცენტო შემოსავლების ჯამთან შეფარდების მაჩვენებლის შემცირება; აქტივებისა და კაპიტალის მიმართ უკუგების კოეფიციენტების (ROE, ROA) გაუმჯობესება და მათი მდგრადობის მიღწევა; მთლიან სესხებში უიმედო სესხების წილის დაბალ დონეზე შენარჩუნება;
- ✓ საბანკო სექტორში დანაზოგების მოცულობისა და ინდივიდუალური დეპოზიტარების რაოდენობის გაზრდა;
- ✓ ყოველდღიურ ტრანზაქციებში კომერციული ბანკების მონაწილეობის (საკრედიტო და სადებეტო ბარათები, უნაღდო გარიგებები, და ა. შ.) ინტენსივობის ზრდა;
- ✓ სესხების საშუალო მოცულობის, მათი ვადიანობისა და რაოდენობრივი მაჩვენებლის ზრდა;
- ✓ „ფულის გათეთრების“ წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების ეფექტიანობის ამაღლება;
- ✓ ბანკის ადმინისტრატორთა და მნიშვნელოვანი წილის მფლობელ აქციონერთა შესაფერისობის კრიტერიუმების სრულყოფა;
- ✓ საბანკო სისტემის კონცენტრაციის დონის შემცირება და, ამასთან ერთად, სავალდებულო სანესდებო კაპიტალთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულების მკაცრი მონიტორინგის დაწესება; მცირე ბანკების კონსოლიდაციის ისეთი დონის მიღწევა, რომელიც გამორიცხავს რომელიმე ბანკის მიერ მონოპოლისტური პოზიციის დაკავებას;
- ✓ საბანკო სისტემის გამჭვირვალობის ზრდის მიზნით, ცალკეული ბანკების ძირითადი ფინანსური მონაცემების ფართო საზოგადოებისათვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- ✓ საბანკო სისტემის მიერ ბაზრისათვის შეთავაზებული პროდუქტების სახეობათა მრავალფეროვნების უზრუნველყოფა;
- ✓ მაღალტექნოლოგიური საბანკო მომსახურების (მაგ., ონლაინ-ბანკინგის სისტემა) მომხმარებელთა ერთეულოვანი რაოდენობის ზრდა;
- ✓ საბანკო ტრანზაქციის შესასრულებლად საჭირო დროის შემცირება;

- ✓ საბანკო სისტემის მდგრადობის ამაღლებისა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ბოლო ინსტანციის კრედიტორის ფუნქციების შესრულების ხელშეწყობის მიზნით, დოლარიზაციის დონის თანდათანობით შემცირება;
- ✓ საბანკო მომსახურების ხელმისაწვდომობის ზრდისათვის საბანკო ქსელის გეოგრაფიული არეალის გაფართოება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ფილიალების გახსნისათვის ხელშეწყობის გზით;
- ✓ უნაღდო ანგარიშსწორების პოპულარიზების მიზნით ბანკომატების რაოდენობის გაზრდა;
- ✓ პლასტიკური ბარათებით ანგარიშსწორების უფრო ფართოდ გავრცელების მიზნით, ამ სფეროში მომსახურების ხარისხის ამაღლებისა და მისი ღირებულების შემცირებისათვის ხელშეწყობა;
- ✓ პლასტიკური ბარათებით ანგარიშსწორების ბრუნვის ზრდის უზრუნველყოფა მშპ-თან მიმართებით;
- ✓ ფართო ფულის M_2 და M_3 აგრეგატებში ნაღდი ფულის წილის შემცირება საბანკო დეპოზიტების ზრდის ხარჯზე;
- ✓ საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ერთობლივი მისიის მიერ შემუშავებულ საქართველოს ფინანსური სტაბილურობის შეფასების ანგარიშში მითითებული რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფა;
- ✓ საქართველოს ეროვნული ბანკის (მათ შორის ფილიალების) სტრუქტურული და ფუნქციური სრულყოფა;
- ✓ კომერციული ბანკების ნაღდი ფულით მომსახურების დონის ამაღლების მიზნით თანამედროვე სტანდარტების საკასო ცენტრის ჩამოყალიბება;
- ✓ მიმოქცევაში ფულის ნიშნების (ნომინალურ ჭრილში) მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სათანადო მარაგის შექმნა;
- ✓ მოსახლეობის საბანკო მომსახურების დონის გაუმჯობესებისა და მათი ინტერესების დაცვის მიზნით სალაროს მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება და მათთვის ფულის ნიშნების დამცავი უახლესი მექანიზმებისა და სალაროს ოპერაციების წარმოების წესების შესწავლა-გაცნობისათვის აუცილებელი პირობების შექმნა;
- ✓ ნაღდ ფულსა და სხვა ფასეულობასთან დაკავშირებული ოპერაციების წარმოების წესების მარეგულირებელი ახალი ნორმატიული დოკუმენტების შემუშავება;
- ✓ საბანკო სისტემის ნორმატიული ბაზის განახლების, გამარტივებისა და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით მისი ინვენტარიზება;
- ✓ კომერციულ ბანკებში სალაროს ოპერაციების წარმოების წესე-

ბის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის დახვეწა მისი ლიბერალიზების კუთხით; ამ სფეროს განვითარებისათვის ბანკების დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება და მათთვის, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საბანკო მომსახურების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, სათანადო პირობების შექმნა;

- ✓ საბანკო სისტემაში ფასეულობის გადაზიდვის საქმიანობის შეუფერხებელი და უსაფრთხო განხორციელების მიზნით, საინკასაციო სამსახურების ჩამოყალიბების პროცესში კომერციული ბანკებისათვის მეთოდოლოგიური და პრაქტიკული დახმარების აღმოჩენა;
- ✓ კომერციულ ბანკებთან თანამშრომლობის ისეთი ფორმების დანერგვა, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს ეროვნულ ბანკს ქვეყნის ნებისმიერ რეგიონში მის წინაშე მდგომი ამოცანების კომერციული ბანკების მეშვეობით ოპერატიულად (დაქვემდებარებული სტრუქტურის ჩამოყალიბების გარეშე) დანერგულირების საშუალებას მისცემს;
- ✓ საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის (ბაზელი I) ძირითად პრინციპებთან მაქსიმალური შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- ✓ სააუდიტო საქმიანობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლება, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე შემუშავებული სააუდიტო საქმიანობის ეროვნული სტანდარტების დანერგვის გზით;
- ✓ ბანკების მიერ საქმიანობის განხორციელებისას წარმოქმნილი რისკების მართვის ეფექტიანობის ამაღლება, მათ შორის, მომხმარებლებთან დაკავშირებული ოპერაციების კუთხით და ტექნოლოგიური რისკებისა და უსაფრთხოების რისკების ჯგუფთან მიმართებით;
- ✓ კორპორაციული მართვის სისტემის გამჭვირვალობის ისეთი დონის მიღწევა, რომელიც უზრუნველყოფს ყველა კატეგორიის დაინტერესებული პირისათვის, აქციონერთა (მონაწილეთა) ჩათვლით, საკრედიტო ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული და კანონმდებლობით გათვალისწინებული ინფორმაციის დროულად და ზუსტ მიწოდებას, ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის, მესაკუთრეთა სტრუქტურისა და მართვის შესახებ მონაცემთა ჩათვლით;
- ✓ მესაკუთრეთა, მათ შორის მცირე ინვესტორთა, უფლებათა დაცვის უზრუნველყოფა;
- ✓ ანაბრების დაზღვევის სისტემის შემუშავება და საკრედიტო ისტორიათა ბიუროების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა.

IV

2006-2009 წლებში გასატარებელი ღონისძიებანი

საბანკო ზედამხედველობა

- 1 ეფექტიანი საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის ძირითად პრინციპებთან დაახლოების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი ძირეულად გააუმჯობესებს ბანკების ლიცენზირების პროცესს, დახვეწს ბანკების ადმინისტრატორთა და მაკონტროლებელ პირთა შესაფერისობის კრიტერიუმების მოთხოვნებს და ამ მოთხოვნათა პრაქტიკული რეალიზების საკითხებს დაუახლოებს საერთაშორისო სტანდარტებს. ბანკის მესაკუთრეთა შესაფერისობის კრიტერიუმების სტანდარტებთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნული ბანკი განახორციელებს პოლიტიკას, რომლის პრაქტიკულად რეალიზება შესაძლებლობას მისცემს მას, ყურადღება გაამახვილოს ბანკის მნიშვნელოვანი წილის მესაკუთრეთა ფინანსურ მდგრაობაზე, ასევე, მაქსიმალურად შეზღუდოს ოფშორული ზონებიდან საექვო და ფინანსურად არასტაბილური კომპანიების მიერ ქართული ბანკების მნიშვნელოვანი კონტროლის განხორციელების შესაძლებლობები.
- 2 კომერციული ბანკის აქციონერის ან ერთობლივად მოქმედი აქციონერთა ჯგუფის მიერ ბანკის გაცხადებული თუ განაღდებული საწესდებო კაპიტალის ხმის უფლების მქონე აქციების 25-პროცენტის წილის ფლობის ან/და განკარგვის უფლება-

ზე დაწესებული შეზღუდვის გაუქმება და „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანა ხელს შეუწყობს საბანკო სექტორის გამჭვირვალობის დონის ამაღლებას, რაც გამოიხატება ბანკის რეალური მფლობელების განსაზღვრითა და მათ მიმართ შესაფერისობის კრიტერიუმების დადგენით.

3 საქართველოს ეროვნული ბანკი 2006 წელს შეიმუშავეს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტს, რომელიც ითვალისწინებს მნიშვნელოვანი წილის მფლობელ აქციონერთა (საწესდებო კაპიტალის 10 და მეტპროცენტისანი წილი) შესაფერისობის კრიტერიუმების შემდგომ სრულყოფასა და მათ საერთაშორისო დონეზე აღიარებულ ნორმებთან დაახლოებას.

4 საქართველოს ეროვნული ბანკი ყურადღებას გაამახვილებს ბანკების მიერ სხვა კომპანიათა კაპიტალში ინვესტიციების განხორციელებაზე; ხელს შეუწყობს ბანკის საინვესტიციო პოლიტიკისა და პრაქტიკის, ასევე საინვესტიციო კომპანიის შეფასების კრიტერიუმების დანერგვას, იმისათვის, რომ კომპანიების მიერ შესაძლო გაუმართლებელი რისკებით წარმოებულმა საქმიანობამ ნეგატიურად არ იმოქმედოს ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე, არ გაზარდოს ბანკების რისკის დონე, არ გააუარესოს ინვესტიციების ხარისხი და არ შეაფერხოს ბანკის საქმიანობის ეფექტიანი ზედამხედველობა.

5 საზედამხედველო პოლიტიკის გატარებისას საქართველოს ეროვნული ბანკი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ბანკებში რისკების მართვის სისტემების ადეკვატურობას, რათა აღნიშნული სისტემები იძლეოდეს რისკების გონივრული მართვისა და გამოყენების – დროული იდენტიფიცირების, ადეკვატური შეფასების, ეფექტიანი მონიტორინგისა და კონტროლის საშუალებას. ამ მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი მოამზადებს რისკების მართვის შეფასების მეთოდოლოგიურ სახელმძღვანელოს, პრაქტიკაში კი ბანკების შეფასებისას ორიენტირებული იქნება რისკების მართვის შემონმების პროცედურების სრულყოფასა და მათი რეალიზების ეფექტიანობის ამაღლებაზე.

6 ბანკების საქმიანობის შეფასებისას საქართველოს ეროვნული ბანკი ყურადღებას გაამახვილებს ბანკებში შიდა კონტროლისა და აუდიტის სისტემების მექანიზმების სრულყოფისა და ეფექტიანად გამოყენების საკითხებზე, რითაც ბანკის ადმინისტრატორთა მიერ საბანკო რისკებთან დაკავშირებული არაკონტროლირებადი და არარეგლამენტირებული გადანყვეტილებების მიღების რისკი მინიმუმამდე შემცირდება. ამისათვის, ცალკეული ბანკების შემონმებისას საქართველოს ეროვნული ბანკი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ბანკში მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემებისა და შიდა კონტროლის სისტემების ადეკვატური ფუნქციონირების შეფასებას და შედეგებს მნიშვნელოვანწილად გაითვალისწინებს მთლიანად ბანკის მენეჯმენტის შეფასებაში.

7 ბანკებისა და მათი შვილეული საწარმოების კონსოლიდირებული ზედამხედველობის პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი მოამზადებს საკანონმდებლო ცვლილებების პროექტს, რომელიც საშუალებას მისცემს მას, არ დაუშვას არაკომპეტენტური გარე აუდიტორის მიერ ბანკის შემონმება და იქონიოს გარე აუდიტორების „შავი სია“; მისცეს გარე აუდიტორს კონკრეტული დავალება ბანკის შემონმებისას; კანონით განსაზღვროს გარე აუდიტორის ვალდებულება – ბანკის შემონმებისას აღმოჩენილი არსებითი უარყოფითი ფაქტორის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს საქართველოს ეროვნულ ბანკს; მიიღოს და განიხილოს ბანკის აუდიტორული ფინანსური ანგარიშები, გარე აუდიტორის მიერ მიწოდებული ნებისმიერი სხვა ინფორმაცია და მასალა.

8 ბანკებისა და მისი შვილეული საწარმოების კონსოლიდირებული ზედამხედველობის პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი სრულყოფს მონიტორინგის პროცედურებს, რომლებიც ხელს შეუწყობს შვილეული საწარმოების საქმიანობის ფინანსური რისკების ანალიზს და ბანკის ფინანსურ მაჩვენებლებზე მათი ზეგავლენის დროულ იდენტიფიცირებას.

9 საქართველოს ეროვნული ბანკი კვლავაც გაამახვილებს ყურადღებას ბანკების მიერ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) პრაქტიკაში დანერგვაზე, რისთვის

საც ბანკის შეფასებისას, საკუთარი რესურსების გარდა, დამატებით გამოიყენებს ბანკის გარე აუდიტორთა შეფასებებსა და დასკვნებს. საბანკო სისტემაში აღრიცხვიანობის სფეროს განვითარება და შემდგომი სრულყოფა ხელს შეუწყობს საქართველოს ეროვნული ბანკის მიზნის – ბანკების საქმიანობის გამჭვირვალობის დონის გაუმჯობესების რეალიზებას.

10 საბანკო სექტორში კორპორაციული მართვის ძირითადი პრინციპების პრაქტიკაში რეალიზების შედეგად ბანკების მართვის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, კომერციული ბანკების შეფასებისას საქართველოს ეროვნული ბანკი განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს და დიდ მნიშვნელობას მიანიჭებს ბანკის მენეჯმენტის ეფექტიანობას, შიდა კონტროლის სისტემის ქმედითობას, საბანკო რისკების მართვის სისტემის ადეკვატურობას და მასთან დაკავშირებული პოლიტიკისა და პრაქტიკის შესაბამისობას, სრულყოფასა და განვითარებას, თითოეულ ბანკში მართვის არსებული სისტემის შეფასებას და მათ „ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის“ მიერ შემუშავებული კორპორაციული მართვის ძირითად პრინციპებთან დაახლოებას.

11 კომერციულ ბანკებში რისკების მართვის ეფექტიანი სისტემების შექმნის, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და პროდუქტების დანერგვის თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბანკო სექტორში დასაქმებულ თანამშრომელთა კვალიფიკაციასა და გამოცდილებას. კომერციული ბანკი მუდმივად უნდა იყოს დაინტერესებული თავისი პერსონალის ცოდნისა და პროფესიული დონის ამაღლებით და ადგილობრივ და უცხოურ ბანკებთან გამოცდილების ურთიერთგაზიარებით. საქართველოს ეროვნული ბანკის ინიციატივით, საქართველოს ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, შეიქმნება სასწავლო ცენტრი, სადაც რეგულარულად გაიმართება სხვადასხვა თემატური სემინარები და სწავლებები. საქართველოს ეროვნული ბანკის სასწავლო ცენტრის სემინარების მონაწილეები მიიღებენ შესაბამის სერტიფიკატებს, რაც საქართველოს ეროვნულ ბანკს წარმოადგენას შეუქმნის საბანკო სექტორში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ და მისცემს მისი შემდგომი ამაღლების შესაძლებლობას.

12 საბანკო სისტემის სტაბილურობის მონიტორინგის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი პერიოდულად მოაწყოებს ე.წ. „სტრეს-ტესტირებას“, რაც იმას გულისხმობს, რომ მაკროეკონომიკური და ფინანსური ვითარების სხვადასხვა უარყოფითი სცენარით განვითარების შემთხვევაში შესაძლებელი გახდება შეფასდეს ამ ვითარების შესაძლო ზეგავლენა თითოეულ ბანკსა და მთლიანად საბანკო სექტორზე. ეს საშუალებას მისცემს საქართველოს ეროვნულ ბანკს ყურადღების კონცენტრირება მოახდინოს იმ რისკების განეიტრალებაზე, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანია ცალკეული ბანკისა და მთლიანად საბანკო სექტორისათვის.

13 საბანკო სისტემის განვითარების, ფინანსური შუამავლობის ფუნქციის სრულყოფისა და საბანკო არხებში ფულის მასის ოპტიმალური ოდენობით მოქცევის ერთ-ერთი წინაპირობაა დეპოზიტების მოცულობის ზრდა. კარგად განვითარებული საბანკო სისტემა ქვეყნის ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია. მისი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, რომელიც მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს საბანკო სისტემის სტაბილურობასა და განვითარებას. ევროდირექტივის – 94/19/EC (მიღებულ იქნა ევროპარლამენტისა და ევროგაერთიანების საბჭოს მიერ 1994 წლის 30 მაისს. კანონი (მუხლი 3) ავალდებულებს ნევრ ქვეყნებს დეპოზიტების დაზღვევის სისტემის დანერგვას) თანახმად, საქართველოში დაინერგება დეპოზიტების დაზღვევის სისტემა. ამის შედეგად მეანაბრების დეპოზიტები, სავარაუდოდ, 3-დან 5 ათას ლარამდე (მათ შორის, აღნიშნული თანხის ეკვივალენტი უცხოური ვალუტით) ოდენობით, დაზღვეული იქნება და ბანკის გაკოტრების შემთხვევაში სრულად ანაზღაურდება. დეპოზიტების დაზღვევის სისტემა გაზრდის საზოგადოების ნდობას საფინანსო სექტორის მიმართ და შეამცირებს სისტემური რისკების განვითარების ალბათობას, ასევე განაპირობებს მოსახლეობის დანაზოგების საბანკო არხებში გადადინებას. დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შემოღება საქართველოში ხელს შეუწყობს დეპოზიტების მოცულობის ზრდასა და დივერსიფიცირებას. აღნიშნული ბანკებს შეუქმნის დაკრედიტების უფრო დიდ რესურსს, რაც ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობს ფაქტორად განიხილება. დეპოზიტების მოზიდვის სფეროში შეიქმნება თანაბრად კონკურენტული გარემო მცირე, საშუალო და დიდი კომერციული ბანკებისათვის.

14 საქართველოს ეროვნული ბანკი მიიჩნევს, რომ კანონი დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ წარმოადგენს მეანაბრეთა, განსაკუთრებით კი მცირე ოდენობის დანაზოგების მქონე პირთა ინტერესების დაცვისთვის აუცილებელ სამართლებრივ ბაზას. ამ საკითხებზე მუშაობისას საქართველოს ეროვნული ბანკი გამოიყენებს უცხოეთის ქვეყნების გამოცდილებას და უცხოელი ექსპერტების რეკომენდაციებს. დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ფუნქციონირებისათვის საქართველოს ეროვნული ბანკი საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით შეიმუშავებს შესაბამის კანონპროექტს და განახორციელებს მისი ამოქმედებისათვის აუცილებელი წინაპირობების მოსამზადებელ სამუშაოებს.

15 საბანკო ბაზრის მონაწილეთა დისციპლინის განმტკიცებისა და კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების, საკრედიტო რისკების შეფასებისა და შემცირების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია საკრედიტო ბიუროების ინსტიტუტის დამკვიდრება. მათი მეშვეობით ადრეულ ეტაპზე, მსესხებელთა საკრედიტო ისტორიის ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელი იქნება ქვეყანაში საკრედიტო რისკების მაქსიმალურად გამოკვლევა. აუცილებლობად განიხილება საკრედიტო ბიუროებისათვის კომერციულ საფუძველზე ფუნქციონირების პირობების შექმნა საკრედიტო ისტორიის სუბიექტის უფლებების დაცვის სავალდებულო უზრუნველყოფის გარანტიით. მიზანშეწონილია, პირველ ეტაპზე საკრედიტო ბიუროებმა შექმნან მონაცემთა ბაზები, რომელიც ფორმირებული იქნება ინფორმაციით უიმედო მსესხებლების საკრედიტო ისტორიების შესახებ, ხოლო საბანკო სექტორის განვითარებასთან ერთად, მომავალში, საკრედიტო ბიუროებს ექნებათ უფლება და შესაძლებლობა გააფართოონ მონაცემთა ბაზები ყველა მსესხებლის საკრედიტო ისტორიით. ამ მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკებთან ერთად შეიმუშავებს კანონპროექტს საკრედიტო ბიუროების საქმიანობის შესახებ.

საქართველოს ეროვნული ბანკი ხელს შეუწყობს ქვეყანაში საერთაშორისო დამოუკიდებელი სარეიტინგო კომპანიების მიერ კომერციული ბანკების შეფასების პრაქტიკის დანერგვას და,

შესაბამისად, ამ შედეგებს გაითვალისწინებს ბანკის შეფასებისას; განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს და მხარს დაუჭერს საქართველოს ბაზარზე ადგილობრივი სარეიტინგო კომპანიების ჩამოყალიბების ინსტიტუციურ ჩარჩოში მოქცევისა და განვითარების პროცესს.

16 საქართველოს ეროვნული ბანკი მხარს დაუჭერს ქვეყანაში დამოუკიდებელი აუდიტორული ინსტიტუტების უკეთ ფუნქციონირებისათვის აუცილებელ საკანონმდებლო წინადადებებს. მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკი საბანკო აუდიტის სრულყოფის კონკრეტული ინიციატივებით გამოვა და კომერციული ბანკების შეფასებისას გაითვალისწინებს აუდიტორთა „დიდი ოთხეულის“ დასკვნებს.

17 საწარმოებსა და ორგანიზაციებთან ბანკების საკრედიტო ურთიერთობების გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი დაინტერესებულ მხარეებთან ერთად შეიმუშავებს საკანონმდებლო წინადადებებს სესხის უზრუნველყოფის საშუალებათა მიღების, რეგისტრირებისა და რეალიზების არსებული რეჟიმის გამარტივების შესახებ, კრედიტის უზრუნველყოფის საგანზე კრედიტორთა მოთხოვნის დაკმაყოფილების პროცედურის ლიბერალიზებისა და უნიფიცირების, ქონებისა და ქონებრივი უფლებების რეგისტრირების სისტემის სრულყოფის თაობაზე.

18 საქართველოში კორპორაციული მართვის ძირითადი პრინციპების განვითარებისა და პრაქტიკაში მათი უკეთ რეალიზების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი დაინტერესებულ მხარეებთან ერთად შეიმუშავებს საკანონმდებლო წინადადებებს ქვეყანაში კორპორაციული მართვის საკითხების განვითარებისა და სრულყოფის მიმართულებით.

19 საბანკო სისტემის მდგრადობისა და სტაბილურობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი შეინარჩუნებს ბანკების საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობის ევროგაერთიანების 2000/12/EC დირექტივით (მიღებულია ევროპის პარლამენტისა და ევროპის საბჭოს მიერ 2000

წლის 20 მარტს) მიღებულ და მისი წევრი ქვეყნების საბანკო სისტემებში დამკვიდრებულ ნორმას (5 მლნ ევრო). ამ მიმართულებით გაატარებს მკაცრ მონიტორინგს – 2007 წლის პირველ ივლისამდე ბანკების მიერ საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობის 12 მლნ ლარამდე გაზრდის კუთხით.

20 საქართველოს ეროვნული ბანკი 2006 წლის პირველ ნახევარში განახორციელებს მარეგულირებელი ბაზის ცვლილებებს, რომლის თანახმადაც კომერციული ბანკებისთვის განსაზღვრული ლიკვიდობის სამი ნორმატივის ნაცვლად ძალაში დარჩება ერთი. კერძოდ, იგულისხმება „მცისიერი ლიკვიდობის კოეფიციენტისა“ და „მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტის“ გაუქმება და „საშუალო ლიკვიდობის კოეფიციენტისა“ და მისი გაანგარიშების მეთოდის მოდიფიცირება. ეს უკანასკნელი წარმოადგენს სადღეისოდ მოქმედი „საშუალო ლიკვიდობის კოეფიციენტისა“ და „მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტის“ შეჯერებულ ვარიანტს. „საშუალო ლიკვიდობის კოეფიციენტის“ ახალი ვარიანტი გაიანგარიშება თვის საშუალო მაღალლიკვიდური აქტივების შეფარდებით თვის საშუალო მიმდინარე ვალდებულებებთან და არ უნდა იყოს 30 პროცენტზე ნაკლები, ხოლო 2007 წლიდან დაიწყება მისი შემცირება. აღნიშნული ნორმა არის მაღალლიკვიდური აქტივების ის მინიმალური ოდენობა, რომელიც აუცილებელია ანგარიშსწორების შეუფერხებლად წარმოებისათვის. აქტივ-პასივების მართვის მექანიზმების სრულყოფისა და ოპტიმიზებისათვის თითოეულმა ბანკმა თავად უნდა განსაზღვროს მინიმალური დონის ზევით, დამატებით ლიკვიდური აქტივების საჭიროება.

21 საქართველოს ეროვნული ბანკი კაპიტალის ადეკვატურობის განმსაზღვრელი კოეფიციენტების გაანგარიშების სრულყოფის მიზნით, შეიმუშავებს რისკის მიხედვით შენონილი აქტივების კლასიფიკაციის სისტემას. აღნიშნულ სისტემაში, უკვე არსებული საკრედიტო და სავალუტო რისკების გარდა, გათვალისწინებული იქნება სხვა დამატებითი რისკებიც, რათა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ბანკის კაპიტალიზების მიმართ დაწესებული მოთხოვნები გახდეს უფრო ეფექტიანი ეკონომიკური მაჩვენებელი და სრულად ითვალისწინებდეს იმ რისკებს,

რომელიც მოცემულ კონკრეტულ ვითარებაში დამახასიათებელი იქნება საბანკო საქმიანობისათვის. საქართველოს ეროვნული ბანკი 2007 წლისათვის განახორციელებს ეროვნული ბანკის მიერ კაპიტალის ადეკვატურობის განმსაზღვრელი დადგენილი კოეფიციენტების ცვლილებებს, რომელთა მომზადებისას გათვალისწინებული იქნება მათი შესაბამისობა საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის კაპიტალის ადეკვატურობასთან დაკავშირებულ მოთხოვნებთან. ცვლილებები ძირითადად შეეხება კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტების იმ ელემენტებს, რომლებსაც საქართველოს ეროვნული ბანკის მოქმედი ნორმატიული აქტი უფრო მკაცრად არეგულირებს, ვიდრე ეს საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის მიერ არის განსაზღვრული.

22 საკრედიტო ორგანიზაციების სარესურსო ბაზის განმტკიცებისათვის საჭიროა მათი ფასიანი ქაღალდების ბაზარზე გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯების შემცირება, საკრედიტო ორგანიზაციების მიერ ფასიანი ქაღალდების (ობლიგაციების) ემიტირებაზე მათი სანესდებო კაპიტალის ოდენობით განპირობებული შეზღუდვების მოხსნა, იმის გათვალისწინებით, რომ საკრედიტო ორგანიზაციების მიერ ფულადი სახსრების მოზიდვა რეგულირდება ლიკვიდობის ნორმატივებითა და მოთხოვნებით, რომლებიც უკავშირდება რისკების მართვისა და შიდა კონტროლის ორგანიზაციის საკითხებს.

23 საფინანსო სექტორის ლიბერალიზებისა და საბანკო მომსახურების პროცესის გამარტივების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი შეიმუშავებს საკანონმდებლო ინიციატივას, რომლის მიხედვითაც 6000 ლარამდე ოდენობის ყველა სახის საბანკო ოპერაციის განხორციელებისას აუცილებელი აღარ იქნება პირის იდენტიფიცირება. ამის შედეგად ამალდება საბანკო სისტემის ოპერაციული მუშაობის ხარისხი, შესაბამისად, გაიზრდება საბანკო სექტორში განხორციელებული ოპერაციების მოცულობა და თავად საბანკო სისტემის მუშაობის ეფექტიანობა.

24 საბანკო მომსახურებისა და ბანკების განვითარებისათვის აუცილებელი ფაქტორის – საფილიალო ქსელის გაფართოების

სტიმულირების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი ადეკვატურად კაპიტალიზებული ბანკებისათვის გაამარტივებს ახალი ფილიალების გახსნისა და რეგისტრირების პროცედურებს. დადგინდება საკრედიტო ორგანიზაციებიდან გამოსათხოვი ერთიანი მოთხოვნებისა და დოკუმენტების ზუსტი ნუსხა, რომელიც აუცილებელი იქნება მათთვის ფილიალებისა და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების რეგისტრაციისათვის.

25 კომერციული ბანკების სათავო ოფისებისა და მათი ფილიალების უსაფრთხოების ნორმების ოპტიმალურად დაცვის მიზნით, შემუშავდება სარეკომენდაციო ხასიათის ნორმატიული აქტი საბანკო დაწესებულების შენობის სიგნალიზაციისა და დაცვის სისტემების შეთანხმების წესის შესახებ.

26 საბანკო მომსახურების ბაზრისა და ზოგადად ეკონომიკის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამომხმარებლო დაკრედიტების ფორმებს. საქართველოს ეროვნული ბანკი შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს სამომხმარებლო დაკრედიტების განვითარებისათვის უფრო ხელსაყრელი სამართლებრივი პირობების შესაქმნელად. ამასთან ერთად, სამომხმარებლო კრედიტის გამოყენების დროს სამომხმარებელთა უფლებების გარანტიების უზრუნველყოფისა და ამ უფლებების დარღვევის შემთხვევაში მათი დაცვის მექანიზმების ფორმირების მიზნით, უახლოეს ხანში შემუშავდება სათანადო ღონისძიებათა პაკეტი – განისაზღვრება მომხმარებლის უფლებები სამომხმარებლო კრედიტის გაცემის, გამოყენებისა და დაბრუნების პირობების თაობაზე სრული და უტყუარი ინფორმაციის მისაღებად, უპირველეს ყოვლისა კი კრედიტზე დასარიცხი პროცენტების ოდენობისა და მათი დარიცხვის წესის შესახებ. აგრეთვე, იგეგმება განისაზღვროს კრედიტორთა მოვალეობა მომხმარებლისათვის ზემოაღნიშნული ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით და არაზუსტი ან მწირი ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში მათი პასუხისმგებლობის დადგენა.

27 საბანკო მომსახურების ბაზარზე დისციპლინის განმტკიცების, ბანკებში კორპორაციული მართვის ხარისხის სრულყოფისა და საბანკო სექტორის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლების

ერთ-ერთი არსებითი პირობაა საკრედიტო ორგანიზაციების საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. აღნიშნული მოითხოვს ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელებას, მათ შორის, საკრედიტო ორგანიზაციების ზუსტ აღრიცხვა-ანგარიშგებას, გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის მოცულობის, ხარისხისა და პერიოდულობისადმი მოთხოვნების გაზრდას საერთაშორისო პრაქტიკით აღიარებული კრიტერიუმების გათვალისწინებით, აგრეთვე საკრედიტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის პროცესის დასრულებას. ამ მიზნით, საქართველოს ეროვნულ ბანკს განზრახული აქვს გაატაროს ღონისძიებები ბანკების საქმიანობის გამჭვირვალობის ხარისხის გასაუმჯობესებლად, რის შედეგადაც განისაზღვრება მინიმალური მოთხოვნები ბანკების მიერ გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის მოცულობის, ხარისხისა და პერიოდულობის მიმართ, საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებული ნორმების შესაბამისად და უზრუნველყოს ამ ინფორმაციის სისტემატურად განთავსება-განახლება ინტერნეტ-სივრცეში ბანკების ოფიციალური წარმომადგენლობების გვერდზე.

28 ფინანსური მონიტორინგის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ საბანკო სისტემას მინიმალურად შეექმნას დამატებითი სიძნელეები, საქართველოს ეროვნული ბანკი ფინანსური მონიტორინგის სამსახურთან ერთად გააგრძელებს მუშაობას „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შემუშავებული ნორმატიული ბაზისა და შესაბამისი მეთოდოლოგიური მასალების სრულყოფის მიმართულებით.

29 საფინანსო სექტორის სხვადასხვა სეგმენტზე მომუშავე არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტების – მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ვალუტის გადამცვლელი პუნქტების საქმიანობის ეფექტიანობის ასამაღლებლად, საქართველოს ეროვნული ბანკი ხელს შეუწყობს შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი გარემოს ჩამოყალიბებასა და მისი განვითარებისათვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელებას.

30 მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფუნქციონირების გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი ძირითად აქ-

ცენტს გააკეთებს შემდეგ საკითხებზე: მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბება – შესაბამისი კანონპროექტისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მომზადება, განხილვა და მათ მისაღებად აუცილებელი პროცედურების ორგანიზება; მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ამსახველი ანგარიშგებისა და მონიტორინგის სისტემის შექმნა; მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მუშაობის გააქტიურებით დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის გაღრმავება.

31 ვალუტის გადამცვლელი პუნქტების საქმიანობის მონესრიგებისა და მათთვის დაწესებული მოთხოვნების გამარტივების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკის ყურადღების ცენტრში მოექცევა ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ლიცენზირების ლიბერალიზებისა და შესაბამისი ნორმატიული აქტის ამოქმედების საკითხები: ვალუტის გადამცვლელი არალიცენზირებული პუნქტების ლიცენზირებისათვის საჭირო შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; ვალუტის გადამცვლელი პუნქტების საქმიანობის აღრიცხვიანობის მონესრიგება.

32 საქართველოს ეროვნული ბანკის მუდმივი ყურადღების საგანია ბანკების ლიკვიდაციის თანამდევი პროცესების სრულყოფისა და სალიკვიდაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სირთულეების ადეკვატურად მონესრიგების საკითხები. მიუხედავად ბანკის ლიკვიდაციის პროცესის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის მნიშვნელოვნად სრულყოფისა, დღის წესრიგში დგას ლიკვიდაციის პროცესში მყოფი ყველა ბანკისათვის თითქმის ერთგვაროვანი პრობლემების მოგვარების საკითხი, რომელიც სერიოზულად აფერხებს ლიკვიდაციის პროცესების დროულად და ზედმეტი დანაკარგების გარეშე წარმართვას. საქართველოს ეროვნული ბანკის უახლოეს პერსპექტიულ ამოცანათა შორის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხად განიხილება ლიკვიდაციაში მყოფი ბანკების აქტივების რეალიზების ეფექტიანი მექანიზმების შექმნა, მათ შორის, აქტივების საჯარო რეალიზების დროულად და გამჭვირვალედ წარმართვის არსებული პირობების გაუმჯობესება. ამ თვალსაზრისით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიზანია შესაბამისი მოქმედებების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს ბანკის ლიკვიდატორის მაქსიმალურ თანამშრომლობას

სასამართლო და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან და მათ შორის გამარტივებული ურთიერთობების დამყარებას, რათა ოპტიმალურად იქნეს უზრუნველყოფილი მეანაბრეებისათვის კუთვნილი თანხების დაბრუნების შესაძლებლობა.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა

33 საბანკო სისტემის მდგრადი და სტაბილური განვითარებისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება. აღნიშნული უზრუნველყოფს ფასისმიერი მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას, რაც რესურსების გადანაწილების მაქსიმალური ეფექტიანობის საშუალებას იძლევა და ხელს უწყობს ქვეყანაში ფინანსური შეამავლობის როლის ამაღლებას. საბანკო სისტემის განვითარების მხარდაჭერის თვალსაზრისით, საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ინფლაციური და სავალუტო რისკების მინიმუმამდე დაყვანა, რაც საპროცენტო განაკვეთების შემდგომი შემცირებისა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების ხელშემწყობ ფაქტორად განიხილება. ამ მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი საკუთარ პოლიტიკას მომავალშიც წარმართავს ისე, რომ ინფლაციის დინამიკა იყოს დაბალი და პროგნოზირებადი. ამასთან, საქართველოს ეროვნული ბანკი შეეცდება თავიდან აიცილოს გაცვლის კურსის მკვეთრი რყევები, რაც, თავის მხრივ, ნეგატიურად მოქმედებს ეკონომიკურ გარემოზე. ამავდროულად, კურსწარმოქმნის მექანიზმი საშუალო და გრძელვადიან პერიოდში მხოლოდ საბაზრო მოთხოვნა-მიწოდების პრინციპებს დაეფუძნება.

34 საფინანსო ბაზრების შემდგომი განვითარებისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ხელთ არსებული მონეტარული რეგულირების ინსტრუმენტების მრავალფეროვნებისა და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, ფულის მიწოდების თვალსაზრისით, აუცილებელ პირობად განიხილება ამჟამად არსებული სავალუტო და საკრედიტო აუქციონების ბაზრის თანდათანობითი ჩანაცვლება უფრო სრულყოფილი ღია ბაზრის ოპერაციებით. აღნიშნული ამოცანის განხორციელება მაქსიმალურად გაამარტივებს ფულის მიწოდების რეგულირებას საქართველოს ეროვნული ბანკის მხრიდან და საშუალებას მისცემს მას სწრაფად და ოპტიმალურად გააწიეროს საფინანსო სისტემაში წარ-

მოქმენილი ლიკვიდობისა და სხვა სახის რისკები. საშუალოვადიან პერიოდში საბანკო სისტემაში სტრუქტურულად ქარბი ლიკვიდობის შემცირებასთან ერთად, ფულის მიწოდების მნიშვნელოვან წყაროდ უნდა გადაიქცეს ღია ბაზრის ოპერაციები. ამით გაძლიერდება საქართველოში საპროცენტო განაკვეთების ეკონომიკური მნიშვნელობა და ისინი მონეტარული პოლიტიკის ძირითად ინსტრუმენტებად გადაიქცევა. ამავე დროს, საქართველოს ეროვნული ბანკი უფრო ხელმისაწვდომს გახდის ბანკებისათვის მოკლევადიან ლიკვიდურ რესურსებს და მაქსიმალურად გააფართოებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტების სპექტრს, რათა საბანკო სისტემამ ეფექტიანად და სწრაფად შეძლოს ლიკვიდობის მართვა. ღია ბაზრის ოპერაციები (საკრედიტო აუქციონები, რეპო და უკუურეპო ოპერაციები და სხვ.) უნდა განხორციელდეს დროის რეალურ რეჟიმში. ამ მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკი დანერგავს შესაბამის პროგრამულ პროდუქტს.

35 ლიკვიდობის პროგნოზირებისა და დაგეგმვის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი გააღრმავებს თანამშრომლობას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურთან, რათა ხაზინის მიერ მსხვილი ერთჯერადი ხარჯების განხორციელების შესახებ ინფორმაცია წინასწარ იყოს ცნობილი საქართველოს ეროვნული ბანკისათვის. ზემოაღნიშნული ხელს შეუწყობს საქართველოს ეროვნულ ბანკს, გაზარდოს ლიკვიდობის საპროგნოზო ჰორიზონტი სამ თვემდე პერიოდით.

36 საბანკო სისტემისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამჭვირვალობა. საქართველოს ეროვნული ბანკის თანამიმდევრული გადანყვეტილებები, რომლებშიც სათანადოდ არის ახსნილი ქვეყნის მონეტარული პოლიტიკა, საფინანსო ბაზრის მონაწილეთათვის გააადვილებს გრძელვადიანი პროგნოზების გაკეთებას. საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა გაზრდის საბანკო სისტემის ნდობას საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართ და საშუალებას მისცემს ბანკებს ეფექტიანად მართონ საკუთარი რესურსები. ამისათვის საქართველოს ეროვნული ბანკი კიდევ უფრო მჭიდროდ ითანამშრომლებს საფინანსო სისტემის წარმომადგენლებთან, რეგულარულად გამოაქვეყნებს

ანგარიშებს, სადაც ასახული იქნება ეროვნული ბანკის შეფასებები ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების თაობაზე. საქართველოს ეროვნული ბანკის პერიოდული ანგარიშები უფრო გამჭვირვალეს გახდის ამ სტრუქტურის გადანყვეტილებებს ფულად-საკრედიტო პოლიტიკისა და საბანკო სისტემის რეგულირების კუთხით. ამ მიზნით აქტიურად იქნება გამოყენებული მასობრივი ინფორმაციის ბეჭდვითი და ელექტრონული საშუალებები.

37 საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ეფექტიანი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შემუშავებისა და გატარების, ასევე საბანკო სფეროსა და საფინანსო ბაზრების მონაწილეების უკეთ ინფორმირებულობის მიზნით, მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა მონეტარული და ფინანსური სტატისტიკისა და საგადამხდელო ბალანსის წარმოების მეთოდოლოგიურ და ორგანიზაციულ სრულყოფას. მათ შორის, სტატისტიკური მონაცემების ხარისხისა და მაქსიმალური წვდომის უზრუნველყოფას. ამ მიზნით სტატისტიკურ მონაცემთა არსებული მწკრივები განთავსდება ინტერნეტ-სივრცეში საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური წარმომადგენლობის გვერდზე.

38 მაკროეკონომიკური სტატისტიკის უფრო დეტალურად და ზუსტად წარმართვისათვის, სხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, გაგრძელდება სამუშაოები, რათა 2006 წლის ბოლოდან, ნაცვლად სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტისა, საგადამხდელო ბალანსის წარმოება განხორციელდეს საქართველოს ეროვნულ ბანკში. საგადამხდელო ბალანსის წარმოება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ უფრო მიზანშეწონილია, რადგან ამ შემთხვევაში შესაძლებელი გახდება საგადამხდელო ბალანსისადმი ე. წ. „მონეტარული მიდგომით“ სარგებლობა, რაც გულისხმობს ბალანსის წარმოებისთვის ბანკებში აღრიცხული ფულადი ნაკადების მოძრაობის შესწავლას და ამდენად უფრო ზუსტია ამჟამად გამოყენებულ მეთოდზე, რომელიც საბანკო სექტორში არსებულ მონაცემებს სრულად ვერ ითვალისწინებს.

39 აქტივების ფასების დინამიკისა და ფინანსური სტაბილურობის მაღალხარისხობრივი ანალიზის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი განახორციელებს აქტივების ფასების, კრედიტები-

სა და დეპოზიტების კონცენტრაციის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის უფრო დეტალურ შეგროვებასა და ანალიზს.

40 ბანკების მიერ მოზიდული რესურსების უფრო ეფექტიანად განთავსების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი განაგრძობს მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ნორმების შემცირების პოლიტიკას. ამასთან, დოლარიზაციის დონის საგრძნობი შემცირების კვალობაზე მოხდება ლარებითა და უცხოური ვალუტით მოზიდულ დეპოზიტებზე დაწესებული ნორმების თანდათან დაახლოება და საბოლოოდ მათი გათანაბრება. ბანკების მიერ სარეზერვო მოთხოვნების დაცვა მთლიანად განხორციელდება საკორესპონდენტო ანგარიშებზე, რაც მათ საშუალებას მისცემს უფრო ეფექტიანად მართონ საკუთარი ლიკვიდური სახსრები. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული ბანკი შეიმუშავებს დასახული ღონისძიებების გრაფიკს. ამასთან, საქართველოს ეროვნული ბანკი გადახედავს მოზიდული სახსრების მხოლოდ ლარებით დარეზერვების საკითხს.

41 საბანკო სექტორის განვითარებისათვის აუცილებელ მიმართულებად განიხილება კომერციული ბანკების მიერ ფასიანი ქაღალდების გამოშვება. საბანკო ბაზარზე ამ ინსტრუმენტის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, კომერციული ბანკის მიერ ეროვნული ვალუტით გამოშვებული გრძელვადიანი (2 წელზე მეტი ვადის) ფასიანი ქაღალდების რეალიზებით მიღებული სახსრების მიმართ საქართველოს ეროვნული ბანკი არ გააგრძელებს მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნებს. სამომავლოდ, საბანკო ზედამხედველობის ეფექტიანობის ამაღლების პარალელურად, საქართველოს ეროვნული ბანკი მინიმალური სარეზერვო მოთხოვნებისაგან გაათავისუფლებს ბანკების მიერ 2 წელზე მეტი ვადიანობის მქონე მოზიდულ სახსრებს. აღნიშნული მიდგომა შეესაბამება ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მოქმედ ნორმებს და ხელს შეუწყობს გრძელვადიანი კაპიტალის მოძიებას, რაც ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და ეკონომიკური ზრდის აუცილებელი ფაქტორია.

42 სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს შენარჩუნებისა და საბანკო სისტემის მიმართ ნდობის ასამაღლებლად ბანკების ფინანსურ მდგრადობასთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანი

წინაპირობაა თვით საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც საბანკო სისტემის შემადგენელი სტრუქტურის, დამოუკიდებლობის განმტკიცება. მართალია, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი ქვეყნის ცენტრალურ ბანკს ფინანსური და ოპერაციული ავტონომიის საკმაოდ მაღალ ხარისხს ანიჭებს, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების ცენტრალურ ბანკებთან შედარებით, მაგრამ საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულ სტანდარტებთან მიმართებით საქართველოს ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა გარკვეულწილად მაინც შეზღუდულია. უახლოეს მომავალში ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის ფარგლებში, საკანონმდებლო დონეზე მოხდება საქართველოს ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის ხარისხის კიდევ უფრო ამაღლება. აღნიშნული მნიშვნელოვნად გაზრდის ფინანსური წრეების ნდობას საქართველოს ეროვნული ბანკისა და მის მიერ გატარებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკისადმი. ამასთან, საქართველოს ეროვნული ბანკი დაცული იქნება ისეთი პოლიტიკური გადაწყვეტილებების რისკისაგან, რომელმაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდაზე. ასევე, საქართველოს ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და ქვეყანაში რაციონალური მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარების მყარი გარანტიების შექმნის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ეროვნულ ბანკს საკანონმდებლო წესით უნდა აეკრძალოს მთავრობისათვის პირდაპირი კრედიტის გაცემა.

43 ინფლაციის მაქსიმალურად ზუსტად პროგნოზირების მიზნით, საქართველოს ეროვნულ ბანკში გაგრძელდება მუშაობა ამჟამად არსებული ინფლაციური მოდელის სრულყოფისათვის. გარდა ამისა, შემუშავდება საქართველოს ეკონომიკის ზოგადი მაკროეკონომიკური მოდელი, რომელსაც საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად გამოიყენებს.

44 საქართველოს ეროვნული ბანკი მნიშვნელოვან ყურადღებას დაუთმობს საბანკო სისტემის რისკების შესწავლას და მათ ზემოქმედებას საქართველოს ეკონომიკის სხვა სექტორებთან შესაძლო პრობლემების წინასწარ გამოვლენის მიზნით.

ამ მოსაზრებით, საქართველოს ეროვნული ბანკი შეიმუშავებს და გამოსცემს ფინანსური სტაბილურობის ანგარიშს.

- 45 მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია მისი გამჭვირვალედ წარმართვა. ამისათვის საქართველოს ეროვნული ბანკი ყოველთვიური და ყოველკვარტალური პერიოდულობით აქვეყნებს საინფორმაციო-ანალიტიკურ ინფორმაციას. საჯაროობის ზრდისა და ფასების დონის უკეთ კონტროლის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი მოამზადებს და ყოველკვარტალურად გამოსცემს „ინფლაციის მიმოხილვას“, ასევე დაგეგმილია „მონეტარული პოლიტიკის სტრატეგიის“ გამოცემა მომდევნო წლებისათვის.
- 46 საბანკო სისტემის შემდგომი განვითარების მიზნით, 2009 წლის ბოლოს მომზადდება საბანკო სისტემის განვითარების სტრატეგია მომავალი პერიოდისათვის. სტრატეგიის ძირითადი ორიენტირი იქნება საქართველოს საფინანსო სისტემის მომზადება ევროკავშირში ინტეგრირებისათვის.
- 47 საქართველოს ეროვნული ბანკისადმი ნდობის ამაღლების მიზნით, რომელიც ეფექტიანი მონეტარული პოლიტიკის განხორციელების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, მოხდება საქართველოს ეროვნული ბანკის ბალანსის გათავისუფლება ისეთი აქტივებისა და ვალდებულებებისაგან, რომლებიც დაკავშირებული არ არის მის ძირითად საქმიანობასთან. ამ მიზნით, საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების საფუძველზე, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო დანესებულების (KfW) სესხი საქართველოს ეროვნული ბანკის ბალანსიდან გადაეცემა საქართველოს მთავრობას, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სესხის შემდგომი მომსახურებისა და ვალის გასტუმრების პროცედურებისათვის. მას შემდეგ, რაც საქართველოს ეროვნული ბანკის ბალანსიდან მთავრობას გადაეცემა KfW-ს ხელშეკრულების ფარგლებში ენერგეტიკის სექტორისათვის გაცემული სესხების ვალდებულებანი, საქართველოს მთავრობა თავის თავზე აიღებს ამ სესხების ამოღების პასუხისმგებლობას. ასევე, საქართველოს მთავრობას გადაეცემა საქართველოს ეროვნული ბანკის ბალანსზე რიცხული ჰოლანდიის მთავრობის სესხი, ხოლო საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მიიღებს აღნიშნულ სესხთან დაკავშირებულ აქტივებს.

48 საქართველოს ეროვნული ბანკი, თავისი საქმიანობის ოპტიმიზაციისა და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, პერიოდულად მოიწვევს საერთაშორისო დონის ექსპერტებს, რომლებიც შეაფასებენ და, შესაბამისად, შეიმუშავენ რეკომენდაციებს საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობისა და ოპერაციების გასაუმჯობესებლად.

საფინანსო ბაზრების განვითარება

49 სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების შედეგად გაიზრდება საფინანსო სისტემის მდგრადობა. ბანკებს გაუადვილებათ რესურსების მოპოვება-განთავსება, რაც ხელს შეუწყობს ლიკვიდობის მენეჯმენტის გაუმჯობესებას; სახელმწიფოს საინვესტიციო პროექტების განსახორციელებლად მიეცემა მცირე დანახარჯებით თანხების მოზიდვის საშუალება. ყოველივე ზემოთქმული ხელს შეუწყობს ეკონომიკურ ზრდას; საქართველოს ეროვნულ ბანკს შესაძლებლობა მიეცემა, გამოიყენოს ღია ბაზრის ოპერაციები მონეტარული რეგულირებისათვის, რაც ეფექტიანი და ნაკლებად ხარჯიანი მონეტარული პოლიტიკის საფუძველი გახდება. ამ მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი გაააქტიურებს ოპერაციებს ღია ბაზარზე, მეორად ბაზარზე განახორციელებს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პირდაპირი ყიდვა-გაყიდვისა და რეპო (უკუჩვენო) ოპერაციებს. ასეთი ტიპის ოპერაციების სანარმოებლად საქართველოს ეროვნული ბანკი მოახდენს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელის ფორმირებას სახაზინო ვალდებულებებისა და ობლიგაციების მეორად ბაზარზე და საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართ მთავრობის სასესხო დავალიანების სექიურიტიზაციის (იგულისხმება არსებული დავალიანების გადაფორმება ფასიან ქაღალდებად) მეშვეობით, აგრეთვე ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებისა და მონეტარული პოლიტიკის მიზნებისათვის საქართველოს ეროვნული ბანკი გამოუშვებს სადეპოზიტო სერთიფიკატებს.

50 სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის, განვითარებისათვის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს ეროვნული ბანკის ურთიერთშეთანხმებით, შემუშავდება სახელმწიფო ვალის მართვის სტრატეგია, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს საქართველოს ეროვნული ბანკისადმი არსებული ვალის დაფარვისა და სექი-

ურიტიზაციის საკითხებს. ამ შეთანხმების ფარგლებში, მოხდება საქართველოს ეროვნული ბანკის განკარგულებაში არსებული საშუალოვადიანი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელის ჩამოყალიბება, რომელიც გამოყენებული იქნება ღია ბაზარზე ოპერაციების განსახორციელებლად. ამავე დროს, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელ დებულებაში შევა ცვლილება, რომელიც მოაწესრიგებს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების როგორც პირველადი აუქციონის, ისე მეორადი ბაზრის მთლიანად უქალაქო ტექნოლოგიით ელექტრონული ვაჭრობის პრინციპით განხორციელებას.

51 სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, სახაზინო ვალდებულებების პირველად აუქციონებზე დაიშვებიან საბროკერო კომპანიები. საქართველოს ეროვნული ბანკის ხელშეწყობით შეიქმნება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების სავაჭრო მოედანი, რომლის მეშვეობითაც პირველად დილერ ბანკებს, სხვა კომერციულ ბანკებსა და საბროკერო კომპანიებს შესაძლებლობა ექნებათ, მოახდინონ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ფასების ორმხრივი კოტირება (ამოქმედდება შესაბამისი ვებ-გვერდი), დადონ გარიგებები ყიდვა-გაყიდვის შესახებ, აწარმოონ ანგარიშსწორებები და სხვ. აღნიშნული სავაჭრო მოედნის ფუნქციონირება განხორციელდება უქალაქო ტექნოლოგიით ელექტრონული ვაჭრობის პრინციპით, შეიქმნება სახაზინო ვალდებულებების პირდაპირი გაყიდვის სამსახური, რომელიც საშუალებას მისცემს ფიზიკურ პირებს სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე დაფიქსირებული საშუალო შენონილი საპროცენტო განაკვეთით მოახდინონ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა.

52 საქართველოს ეროვნული ბანკი საფინანსო ბაზრების განვითარებისათვის აუცილებელ პირობად განიხილავს ცალკეული საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებას. ამ მიზნით საქართველოს ეროვნული ბანკი საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პარლამენტს წარუდგენს შენიშვნებსა და მოსაზრებებს შესაბამის ნორმატიულ აქტებში სათანადო შესწორებების შეტანის თაობაზე, მათ შორის, ელექტრონული საბუთის, ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერისა და ზოგადად ელექტრონულ-ტექნოლოგიურ საქმიანობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბების შესახებ.

53 საბანკო სისტემის მიმდინარე ლიკვიდობის მართვის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი ხელს შეუწყობს ერთდღიანი კრედიტების ბაზრის განვითარებას. ამ მიმართულებით შემუშავდება შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა და დაინერგება ანგარიშსწორების ელექტრონული სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს ბანკებს, ოპერატიულად გამოიყენონ აღნიშნული ინსტრუმენტი საკუთარი ლიკვიდობის ეფექტიანად მართვისათვის.

საგადამხდლო სისტემების განვითარება

54 საგადამხდლო სისტემებისა და საბანკო საქმიანობის სხვადასხვა სფეროებში ელექტრონული საბუთების გაცვლის შესაძლებლობისა და შესაბამისი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის სრულყოფის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი საფინანსო სფეროსა და სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად გააგრძელებს მუშაობას საგადამხდლო სისტემების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის უნიფიცირების მიმართულებით.

55 განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ქვეყანაში ელექტრონული საბუთის და ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერის სამართლებრივი სტატუსის კანონმდებლობით გამყარებას. შემუშავდება „საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორების წესების“ ახალი ვერსია, დებულება „საბანკო პლასტიკური ბარათებით ოპერაციების წარმოების შესახებ“, „საანგარიშსწორებო საბუთების დაარქივების, შენახვისა და გამოყენების წესები“ და საკლირინგო ოპერაციებთან დაკავშირებული სხვა ნორმატიული დოკუმენტაცია.

56 დაბალი ღირებულებისა და პრიორიტეტის მქონე გადარიცხვებისათვის, ანგარიშსწორების ალტერნატიული (კლირინგის) სისტემის დანერგვის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი აქტიურ მუშაობას წარმართავს საკლირინგო სისტემისა და ავტომატიზებული საკლირინგო სახლის დაარსების მიზანშეწონილობის შესასწავლად.

57 საბანკო პლასტიკური ბარათების სახეობებისა და სამომხმარებლო ფუნქციის განვითარებისათვის, აგრეთვე მომსახურების ეფექტიანი ქსელის შესაქმნელად, საქართველოს ეროვნული ბანკი ხელს შეუწყობს საბანკო სერვისის ამ სახეობების

მიმწოდებელ საერთაშორისო კორპორაციათა უმაღლესი სტანდარტების ახალი ტექნოლოგიების დანერგვას საქართველოში, მათ შორის, მრავალფუნქციური ბარათების – „ჩიპების“ გამოყენებას. ასეთი ტექნოლოგიებით შესაძლებელი გახდება სავაჭრო და მომსახურების ქსელში სხვადასხვა დისკონტური პროგრამების რეალიზება, დაზღვევისა და აღრიცხვის სქემების შექმნა, მოსახლეობისათვის სოციალური პროგრამების განხორციელება, ამ ტექნოლოგიების სხვადასხვა სისტემებში გამოყენება (მეტრო, სახელმწიფო სტრუქტურები, მსხვილი საწარმოები) და ა. შ. საბანკო პლასტიკური ბარათების ბაზრის არეალის განვითარებისა და სრულყოფის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან, ბანკებთან, ამ სერვისის მიმწოდებელ საერთაშორისო კორპორაციებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად შეიმუშავებს განვითარების ერთობლივ სტრატეგიას.

ნაღდი ფულის მიმოქცევა

58 ნაღდი ფულის მიმოქცევის გაუმჯობესების, კომერციული ბანკების ნაღდი ფულით მომსახურების დონის ამაღლებისა და ფულის ნიშნების დამუშავების საქმიანობის მონესრიგების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი ჩამოაყალიბებს სრულყოფილ, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ საკასო ცენტრს. მოხდება რეგიონებში განლაგებული საბანკო ობიექტების ფულის ნიშნებით მომარაგების ფუნქციის კომერციული ბანკებისათვის ნაწილობრივი დელეგირება. საბანკო სისტემაში ფასეულობის გადაზიდვის საქმიანობის შეუფერხებელი და უსაფრთხო განხორციელების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს კომერციულ ბანკებს ინკასაციების სამსახურების ჩამოყალიბების პროცესში.

59 მიმოქცევის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად შეიქმნება ფულის ნიშნების (ნომინალურ ჭრილში) სათანადო მარაგები – ხურდა ფულზე მიმოქცევის მოთხოვნის დასაბალანსებლად, ბრუნვაში არსებული დაბალი ნომინალის ფულის ნიშნების ხარისხის ამაღლებისა და მათი დამზადების ხარჯების შემცირების მიზნით, მოიჭრება 50 თეთრის, 1 და 2 ლარის ნომინალის მონეტები. ასევე, ფულის ნიშნების ბეჭდვის ხარჯების შემდგომი დაზოგვის, მიმოქცევაში 50 და 100 ლარის ღირებულების

ბანკოტების ოდენობის მკვეთრად გაზრდის თავიდან ასაცილებლად და მათი მარაგების შექმნის მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი დაამზადებს 200 ლარის ღირსების ბანკნოტს. საერთაშორისო არენაზე საქართველოსა და მისი ცენტრალური ბანკის იმიჯის განსამტკიცებლად, გააქტიურდება საქმიანობა სამახსოვრო მონეტების მოჭრისა და გავრცელების მიმართულებით. მოხდება ინვესტიციური დანიშნულების ოქროს მონეტების გამოშვება, რისთვისაც გამოყენებული იქნება საქართველოს ეროვნულ ბანკში დაცული ოქროს ზოდები.

60 ლიბერალიზების თვალსაზრისით, დაიხვეწება კომერციულ ბანკებში სალაროს ოპერაციების წარმოების წესების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზა. ამ მიმართულების განვითარებისა და ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საბანკო მომსახურების გავრცელების ხელის შეწყობის მიზნით, ბანკებს მიენიჭებათ მეტი დამოუკიდებლობა. მოსახლეობის მომსახურების დონის ამაღლებისა და მათი ინტერესების დასაცავად, უზრუნველყოფილი იქნება სალაროს მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება, რაც ფულისხმობს ფულის ნიშნების დამცავი მექანიზმებისა და სალაროს ოპერაციების წარმოების წესების სწავლებას ამ სფეროში დასაქმებული პირებისათვის. 2006 წლის ბოლომდე საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან ერთად შემუშავდება არასაბანკო სექტორში სალაროს მეურნეობის მარეგულირებელი ახალი ნორმატიული ბაზა, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად გათვალისწინებული იქნება მომსახურების სფეროში პლასტიკური ბარათებით ანგარიშსწორების შემდგომი განვითარების ხელისშემწყობი მექანიზმი და სალაროს მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხი.

61 ადმინისტრაციული ხარჯების ოპტიმიზაციის მიზნით, მოხდება საქართველოს ეროვნული ბანკის სისტემის (მათ შორის ფილიალების) სტრუქტურული და ფუნქციონალური სრულყოფა, მათი დისლოცირებისა და რაოდენობრივი ოპტიმიზაციის თვალსაზრისით. ამავე დროს დაინერგება კომერციულ ბანკებთან თანამშრომლობის ისეთი ფორმა, რომელიც საქართველოს ეროვნულ ბანკს, საჭიროების შემთხვევაში, ქვეყნის ამა თუ იმ რეგიონში მის წინაშე მდგომი ამოცანების კომერციული ბანკების მეშვეობით ოპერატიულად (დაქვემდებარებული სტრუქტურის ჩამოყალიბების გარეშე) განხორციელების საშუალებას მისცემს.

საზოგადოებასთან ურთიერთობა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

- 62 საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიის ეფექტიანი რეალიზების მიზნით, უნდა განხორციელდეს საბანკო სისტემის ფუნქციონირების გამჭვირვალობისა და საინფორმაციო ნაკადების ოპტიმალურად მართვის პოლიტიკა და მისი საქმიანობის იმგვარად წარმართვა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი ქვეყნის საბანკო სისტემის სტაბილურობის ერთ-ერთი მთავარი ბერკეტი იყოს. საბანკო სისტემის საქმიანობის გამჭვირვალედ წარმართვის ამოცანაა ისეთი პოლიტიკის ფორმირება და მართვა, რომელიც საზოგადოების ინფორმირების გზით უზრუნველყოფს საბანკო სექტორში რეფორმების გატარების მხარდაჭერას.
- 63 საქართველოს ეროვნული ბანკი საბანკო სისტემის საინფორმაციო საქმიანობის გამჭვირვალედ და ეფექტიანად განხორციელებისათვის აუცილებელ პირობად განიხილავს იმ მიზნობრივი აუდიტორიის მაქსიმალურად ზუსტად განსაზღვრას, რომელზეც უნდა იყოს კონცენტრირებული საქართველოს ეროვნული ბანკისა და მთლიანად საბანკო სისტემის იმიჯის ფორმირების პოლიტიკა. დაისახება კონკრეტული ღონისძიებები საბანკო სისტემისადმი საზოგადოების ნდობის შესაძლო შემცირების რისკების გამოვლენისა და განეიტრალების, მისი საქმიანობის გამჭვირვალობისა და საინფორმაციო ნედომის ოპტიმალურობისათვის აუცილებელი ნებისმიერი კომპონენტის გაზომვის, განვითარებისა და მართვის კუთხით.
- 64 საბანკო სისტემის საქმიანობის საინფორმაციო უზრუნველყოფის სწორად, გამჭვირვალედ, მიზანმიმართულად და ეფექტიანად წარმართვაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება საბანკო სისტემის შესახებ საზოგადოებრივი აზრის კვლევას და ანალიზს, რაც გულისხმობს საზოგადოების ნდობის შესწავლას, როგორც მთლიანად საბანკო სისტემის, ისე მისი ცალკეული კომპონენტების მიმართ, სოციოლოგიური გამოკითხვების მეშვეობით და კვლევის შედეგების გაანალიზებას შემდგომ საქმიანობაში მათი გამოყენების მიზნით. საბანკო სისტემის საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია, ბაზრის თითოეულმა მონაწილემ დაიცვას საქართველოს

საბანკო კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები, მათ შორის, საბალანსო უწყისების გეგმური გამოქვეყნება საინფორმაციო საშუალებებსა და საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ინტერნეტ-ნარმომადგენლობის გვერდზე. ამ თვალსაზრისით, საქართველოს ეროვნული ბანკის პოლიტიკის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად განიხილება საბანკო სისტემის გამჭვირვალედ საქმიანობა და მის მიმართ ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის ფორმირების უზრუნველყოფა, როგორც ცალკეული ღონისძიებების, ისე მიზნობრივი კამპანიების განხორციელების გზით.

65 საბანკო სისტემისადმი საზოგადოებრივი აზრის ფორმირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რომლებთან წარმატებული და ეფექტიანი ურთიერთობა საბანკო სისტემის საქმიანობის პოზიტიურად შეფასების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. მასმედია ეფექტიანი ბერკეტია საბანკო სისტემაში მიმდინარე პროცესების საზოგადოების ფართო ფენებისათვის გასაცნობად, რაც, თავის მხრივ, საბანკო სისტემის გამჭვირვალობას უწყობს ხელს. საბანკო სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფისა და მისი საქმიანობისადმი ნდობის ხარისხის ამაღლების მიზნით, საქართველოს ეროვნული ბანკი დაგეგმავს და განახორციელებს სხვადასხვა მიმართულებების საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო პროექტებს. კერძოდ, დაფუძნდება საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებული სასწავლო ცენტრი. საბანკო სისტემის საქმიანობის მაქსიმალური გამჭვირვალობის მისაღწევად საქართველოს ეროვნული ბანკი რეგულარულად გამართავს პრესკონფერენციებს, ბრიფინგებს, თემატურ კონფერენციებს, პრეზენტაციებსა და შეხვედრებს; მოხდება საინფორმაციო ბანკის ფორმირება, რომელშიც სისტემატიზებული იქნება ინფორმაცია საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკისა და საბანკო სექტორში მიმდინარე მოვლენების შესახებ. საინფორმაციო ბანკის მონაცემთა ბაზაში თავმოყრილი იქნება საბანკო და მაკროეკონომიკური სტატისტიკა, ასევე ფოტოარქივი. საქართველოს ეროვნული ბანკი ყოველკვარტალური პერიოდულობით გამოაქვეყნებს „სტატისტიკის ბიულეტენს“, რომელიც მოიცავს ინფორმაციას მონეტარული და საბანკო სექტორის შესახებ. დაგეგმილია მონაცემთა სრული მწკრივების განთავსება ინტერნეტ-სივრცეში საქართველოს ეროვნული ბანკის

ოფიციალური წარმომადგენლობის გვერდზე, რომელიც მისაწვდომი იქნება ამ სექტორში მომუშავე ანალიტიკოსებისა და მკვლევარებისათვის.

66

დაგეგმილია პროექტის – „ბანკი-კლიენტი“ – განხორციელება, რომლის ფარგლებშიც წარმართება საბანკო სფეროში საზოგადოებრივი აქტივობის სხვადასხვა მიმართულების ღონისძიებები. საქართველოს ეროვნული ბანკის ეგიდით მოხდება: საზოგადოებრივი აზრის შესწავლა საბანკო სერვისის ბაზრის სიახლეებთან დაკავშირებით; საბანკო სისტემისა და საფინანსო ბაზრების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების კვლევა; საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც ქვეყნის ცენტრალური ბანკის, მიმართ საზოგადოების ნდობის კვლევა; ეროვნული ვალუტის – ლარის მიმართ მოსახლეობის ფართო ფენების ნდობის შეფასება; საზოგადოებრივი აზრის შესწავლა რეგიონული მასშტაბით, განსაკუთრებით, სასაზღვრო რაიონებში.

67

საბანკო სისტემის საქმიანობის გამჭვირვალობის ამაღლების მხარდასაჭერად საქართველოს ეროვნული ბანკი უზრუნველყოფს საკუთარი საინფორმაციო რესურსების ოპერატიულად განთავსებას ინტერნეტ-სივრცეში ოფიციალური წარმომადგენლობის გვერდზე. საქართველოს ეროვნული ბანკის ელექტრონული მედიაგამოცემების აქტიური მომხმარებლები იქნებიან ბეჭდვითი და ელექტრონული მასობრივი საინფორმაციო საშუალებები, საბანკო სექტორი და ამ სფეროთი დაინტერესებული პირები. დაგეგმილია ყოველთვიური ელექტრონული და ბეჭდვითი დაიჯესტების ინგლისურენოვანი ვერსიის გავრცელება საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ მისიებსა და საფინანსო ინსტიტუტებში; საქართველოს ეროვნული ბანკის გამოცემების გავრცელების არეალის გაფართოება კავკასიის მასშტაბით და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებში. ამ თვალსაზრისით, უახლოესი პერიოდის სტრატეგიულ მიმართულებად განიხილება საქართველო-სომხეთი-აზერბაიჯანის ერთობლივი საბანკო ბიულეტენის გამოცემა, სადაც აისახება სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოს საბანკო სექტორის საფინანსო მაჩვენებლები. ასეთი სიახლე გზამკვლევის ფუნქციას შეასრულებს როგორც საქართველოს, ისევე მთელი რეგიონის საბანკო-საფინანსო მაჩვენებლებით დაინტერესებული ინვესტორებისათვის.

68 წარმოდგენილი სტრატეგიის წარმატებით განხორციელებისთვის საქართველოს ეროვნული ბანკი პრიორიტეტულად მიიჩნევს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობას. ამ თვალსაზრისით, აქტიური თანამშრომლობა გაგრძელდება საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, აგრეთვე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და ექსპერტებთან. საქართველოს ეროვნული ბანკი არანაკლებ მნიშვნელოვნად განიხილავს გამოცდილებისა და აზრთა ურთიერთგაცვლას იმ ქვეყნებთან, რომელთა ეკონომიკა და საბანკო სისტემა საქართველოს ანალოგიურია და სადაც უკვე დარეგულირებულია საქართველოს წინაშე ამჟამად მდგარი მსგავსი პრობლემები. მათ რიცხვს, ძირითადად, განეკუთვნებიან პოსტ-საბჭოთა სივრცისა და აღმოსავლეთ ევროპის გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები. აღნიშნული ქვეყნების ცენტრალური ბანკების ხელმძღვანელებსა და ექსპერტებთან ორმხრივ თანამშრომლობას საქართველოს ეროვნული ბანკი წინამდებარე სტრატეგიის წარმატებული განხორციელების ერთ-ერთი წინაპირობად მიიჩნევს.

V

საბანკო სექტორის განვითარების მოსალოდნელი შედეგები

საბანკო სექტორის განვითარების ძირითადი შედეგი საქართველოს ეკონომიკაში მისი როლის არსებითად ამაღლება, ფინანსური მდგრადობის გამყარება და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა იქნება. აღნიშნული, თავის მხრივ, უზრუნველყოფს საბანკო სისტემის დაცვას როგორც შიდა, ისე გარე უარყოფითი მაკროეკონომიკური შოკებისაგან. ამასთან, საქართველოს საბანკო სექტორის ფინანსური პარამეტრები თანდათანობით გაუთანაბრდება იმ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების საბანკო სისტემის მაჩვენებლებს, რომლებმაც თანამედროვე საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებაში უკვე მიაღწიეს სერიოზულ წარმატებებს.

მოსალოდნელია, რომ საბანკო სექტორის ძირითადი მაჩვენებლების (აქტივები, კაპიტალი, კრედიტები, დეპოზიტები) მატეების ტემპი გაუსწრებს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპს. ბანკები შეინარჩუნებენ და განიმტკიცებენ წამყვანი ფინანსური შუამავლების როლს.

წარმოდგენილი სტრატეგიის განხორციელების შედეგად გაიზრდება საზოგადოების სხვადასხვა ფენის ნდობა საბანკო სექტორის მიმართ, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დანაზოგების აკუმულირებას ბანკებში და მათ ინვესტიციებად გარდაქმნას.

საქართველოს საბანკო სისტემის განვითარების სტრატეგიის წარმატებით განხორციელება ხელს შეუწყობს საბანკო მომსახურების

სექტორის გაფართოებას, მსხვილი მრავალპროფილიანი ბანკების, ცალკეულ მომსახურებაზე (სამომხმარებლო დაკრედიტება, იპოთეკა, მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტება) ორიენტირებული საბანკო დანესებულებებისა და საანგარიშსწორებო და არასაბანკო სადეპოზიტო-საკრედიტო ორგანიზაციების ოპტიმალურ თავსებადობას. საბანკო სისტემის განვითარების სტრატეგიის მიზანია საქართველოში ისეთი საბანკო სექტორის ფორმირება, რომელიც საკუთარ კლიენტებს საბანკო მომსახურების უნივერსალურ კომპლექსს შესთავაზებს. ოპტიმალური და ჯანსაღი კონკურენციის პრინციპებზე დაფუძნებული საბანკო სექტორი გახდება საინვესტიციო რესურსების აკუმულირების მყარი ბაზისი, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის შემდგომ ზრდას.

VI

საქართველოს საბანკო სისტემის 2009 წლამდე პერიოდის განვითარების სტრატეგიის ღონისძიებები და მათი შესრულების ვადები

N	ღონისძიება	შესრულების ვადა	შემსრულებელი ქვედანაყოფი
1	საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება შესაფერისობის კრიტერიუმის პროცედურების დახვეწის მიზნით	2006 წელი I ნახევარი	შეღამხეველობის ლეპარტამენტი
2	საწესდებო კაპიტალის ხმის უფლების მქონე აქციების 25-პროცენტისა და წილის ფლობის ან/და განკარგვაზე შემუდვის გაუქმება	2006 წელი I ნახევარი	შეღამხეველობის ლეპარტამენტი იურიდიული ლეპარტამენტი
3	მნიშვნელოვანი წილის მფლობელ აქციონერთა (საწესდებო კაპიტალის 10 და მეტპროცენტისა წილი) შესაფერისობის კრიტერიუმების შემდგომი სრულყოფა და მათი საერთაშორისო ღონეზე აღიარებულ ნორმებთან დახლოება	2006 წელი	შეღამხეველობის ლეპარტამენტი იურიდიული ლეპარტამენტი
4	ბანკების შიდა კონტროლის, კაპიტალში ინვესტიციებისა და რისკების შეფასების მეთოდოლოგიის სრულყოფა	2006 წელი II ნახევარი	შეღამხეველობის ლეპარტამენტი
5	ბანკების კონსოლიდირებული მონიტორინგის მეთოდოლოგიის დახვეწა	2007 წელი I ნახევარი	შეღამხეველობის ლეპარტამენტი
6	საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზება ევროკავშირის კანონმდებლობასთან, საბანკო სექტორთან დაკავშირებული საკითხების მიმართულებით	2007 წელი	იურიდიული ლეპარტამენტი შეღამხეველობის ლეპარტამენტი მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის ლეპარტამენტი
7	კომერციული ბანკების ფუნქციონირების მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის რევიზია და მოდერნიზება	2006 წელი	იურიდიული ლეპარტამენტი შეღამხეველობის ლეპარტამენტი
8	ბანკების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პრაქტიკაში დანერგვა (ფასი)	2006 წელი	შეღამხეველობის ლეპარტამენტი
9	ლიკვიდობის კოეფიციენტის გაანგარიშების წესის დახვეწა	2006 წელი I ნახევარი	შეღამხეველობის ლეპარტამენტი იურიდიული ლეპარტამენტი
10	დეპოზიტების დამფუძნების სისტემის სრულყოფილი სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბება	2006 წელი	შეღამხეველობის ლეპარტამენტი მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის ლეპარტამენტი იურიდიული ლეპარტამენტი
11	საკრედიტო ბიუროს ინსტიტუციური სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბება	2006 წელი	შეღამხეველობის ლეპარტამენტი მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის ლეპარტამენტი იურიდიული ლეპარტამენტი
12	გირავენობის ინსტიტუციური უწყვეტიანობის ამაღლება	2006 წელი	შეღამხეველობის ლეპარტამენტი იურიდიული ლეპარტამენტი
13	კაპიტალის აღქვაგურობის პრინციპის გაანგარიშების დახვეწა	2007 წელი	შეღამხეველობის ლეპარტამენტი იურიდიული ლეპარტამენტი

1	2	3	4
14	კომერციული ბანკების ფილიალების განვითარებისა და წარმომადგენლობის გახსნისა და რეგისტრაციის წესების სრულყოფა	2006 წელი II ნახევარი	შეღებულ ფილიალების ლეპარატორია
15	სასწავლო ცენტრის დაფუძნება	2007-2008 წწ.	აღმზარეული რესურსის მართვის ლეპარატორია მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის ლეპარატორია საზოგადოებასთან ურთიერთობის ლეპარატორია სამეურნეო საქმიანობის ლეპარატორია
16	კომერციული ბანკების შენიშნების უსაფრთხოების გაზრდის მიზნით ნორმატიული დოკუმენტის შემუშავება	2006 წელი I ნახევარი	საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და უსაფრთხოების ლეპარატორია იურიდიული ლეპარატორია
17	საბანკო მომსახურების მომხმარებელი უფლებების დაცვა და სამომხმარებლო კრედიტების გაცემისას აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების შესახებ ნორმატიული ბაზის მომზადება	2007 წელი I ნახევარი	იურიდიული ლეპარატორია შეღებულ ფილიალების ლეპარატორია
18	ბანკების მიერ სავალდებულო გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხის შემუშავება და შესაბამისი ნორმატიული აქტის მიღება	2006 წელი I ნახევარი	შეღებულ ფილიალების ლეპარატორია
19	მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფუნქციონირებისთვის აუცილებელი სამართლებრივი ბაზის ჩამოყალიბება	2006 წელი I ნახევარი	შეღებულ ფილიალების ლეპარატორია იურიდიული ლეპარატორია
20	მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფუნქციონირებისთვის მონიტორინგის სისტემის შექმნა	2007 წელი I ნახევარი	შეღებულ ფილიალების ლეპარატორია
21	ვალუტის გადამცემი არალიცენზირებული პუნქტების ლიცენზირებისთვის აუცილებელი შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება	2006 წელი II ნახევარი	შეღებულ ფილიალების ლეპარატორია
22	ბანკების ლიკვიდაციის პროცესის გასამარტივებლად აუცილებელი საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება და შესაბამისი პროცედურების განხორციელება	2006 წელი II ნახევარი	შეღებულ ფილიალების ლეპარატორია იურიდიული ლეპარატორია
23	საკრედიტო აუქციონებისა და რეპო ოპერაციების განხორციელებისთვის აუცილებელი პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა	2006 წელი I ნახევარი	საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და უსაფრთხოების ლეპარატორია სავალუტო და ფულად-საკრედიტო ოპერაციების ლეპარატორია
24	საბანკო სტატისტიკის მეთოდოლოგიის სრულყოფა	2006-2009 წწ.	მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის ლეპარატორია
25	საბანკო სტატისტიკის ერთიანი მწკრივების შექმნა და ინტერნეტ-გვერდზე განთავსება	2006 წელი I ნახევარი	მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის ლეპარატორია საზოგადოებასთან ურთიერთობის ლეპარატორია
26	სავალდებულო ბალანსის წარმოების პროცედურების გადმოტანა საქართველოს ეროვნულ ბანკში	2006 წელი II ნახევარი	მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის ლეპარატორია
27	სარეზერვო მოთხოვნების ნორმის შემცირება	ეგაპობრივად 2006-2008 წწ.	მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის ლეპარატორია შეღებულ ფილიალების ლეპარატორია
28	ორ წელზე მეტი ვადიანობის მქონე ფასიანი ქაღალდების გათავისუფლება სავალდებულო სარეზერვო მოთხოვნისაგან	2006 წელი	მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის ლეპარატორია შეღებულ ფილიალების ლეპარატორია

1	2	3	4
29	ორ წელზე მეტი ვადიანობის მქონე მოზიდული სახსრების გათავისუფლება სავალდებულო სარემერეო მოთხოვნისაგან	2008 წელი I ნახევარი	მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტი მედამხეველობის დეპარტამენტი
30	უცხოური და ეროვნული ვალუტით არსებული სავალდებულო სარემერეო ნორმების თანდათანობითი დაბლაღობა	ეკაპობრივად 2006-2008 წწ.	მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტი მედამხეველობის დეპარტამენტი
31	სარემერეო მოთხოვნების მთლიანად საკორესპონდენტო ანგარიშზე დაცვა	ეკაპობრივად 2006-2008 წწ.	მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტი მედამხეველობის დეპარტამენტი
32	აქტივების ფასების ინდექსის გამოთვლა 2003 წლისა და შემდგომი პერიოდისათვის	2006 წელი I ნახევარი	მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტი
33	საქართველოს ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის გაზრდის მიზნით საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება	2006 წელი I ნახევარი	იურიდიული დეპარტამენტი მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტი
34	საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მთავრობის პირდაპირი დაკრედიტების აკრძალვა საკანონმდებლო წესით	2006 წელი I ნახევარი	იურიდიული დეპარტამენტი მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტი
35	საქართველოს ეკონომიკის მთავარი მაკროეკონომიკური მოვლელის შემუშავება	2006 წელი I ნახევარი	მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტი
36	ფინანსური სტაბილურობის ანგარიშის მომზადება და გამოცემა	2006 წელი I ნახევარი	მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტი
37	საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახელმწიფო ვალის ერთობლივი სტრატეგიის შემუშავება	2007 წელი	სავალუტო და ფულად-საკრედიტო ოპერაციების დეპარტამენტი მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტი
38	ფასიანი ქაღალდების სავაჭრო მოედნის დაფუძნება	2006 წელი II ნახევარი	სავალუტო და ფულად-საკრედიტო ოპერაციების დეპარტამენტი საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და უსაფრთხოების დეპარტამენტი
39	საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება საფინანსო და კაპიტალის ბაზრების განვითარების მიზნით	2007 წელი	სავალუტო და ფულად-საკრედიტო ოპერაციების დეპარტამენტი იურიდიული დეპარტამენტი
40	ელექტრონული ვაჭრობების გამართვისა და უქაღალდო ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით საკანონმდებლო ბაზის შემუშავება	2006 წელი	სავალუტო და ფულად-საკრედიტო ოპერაციების დეპარტამენტი იურიდიული დეპარტამენტი
41	„სერვისგაცემის“ ჩაგარება	მუდმივად	მედამხეველობის დეპარტამენტი მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტი
42	საგადასმდელო სისგემის მონაწილეთა წრის შემდგომი გაფართოება	მუდმივად	საგადასმდელო სისგემების დეპარტამენტი
43	დაბალი დირექტორებისა და პრიორიტეტების მქონე გადარიცხვების სისგემის (კლირინგის) დანერგვის მიზანშეწონილობის შესწავლა.	2006 წელი II ნახევარი	საგადასმდელო სისგემების დეპარტამენტი საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და უსაფრთხოების დეპარტამენტი

1	2	3	4
44	საქართველოს საგადაზღველო სისტემების ეოველთეური სტაგისტიკური ანგარიშგების შემუშავება	2006 წელი II ნახევარი	საგადაზღველო სისტემების ღეპარტამენტი მაკროეკონომიკისა და სტაგისტიკის ღეპარტამენტი
45	პლასტიკური ბარათების სტრატეგიული განვითარების მიზნით კომერციულ ბანკებსა და ამ სერვისის მიმწოდებელ კომპანიებთან მჭიდრო თანამშრომლობის უზრუნველყოფა	2006 წელი I ნახევარი	საგადაზღველო სისტემების ღეპარტამენტი
46	კრიზისულ სიტუაციებში მართვის სტრატეგიის სრულყოფა	2006-2008 წწ. (პერიოდულად)	საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და უსაფრთხოების ღეპარტამენტი პრემიენგის ადმინისტრაცია
47	„საქართველოში უნაღლო ანგარიშსწორების წესების“ ახალი ვერსიის შემუშავება	2006 წელი	საგადაზღველო სისტემების ღეპარტამენტი იურიდიული ღეპარტამენტი
48	„საბანკო პლასტიკური ბარათებით ოპერაციების წარმოების შესახებ“ ღებულების შემუშავება	2006 წელი	საგადაზღველო სისტემების ღეპარტამენტი იურიდიული ღეპარტამენტი
49	ღებულების – „კომერციული ბანკების მიერ სტაგისტიკური ანგარიშგების წარმოდგენა ელექტრონული შეგყობინებების ფორმით“ – შემუშავება	2006 წელი II ნახევარი	საგადაზღველო სისტემების ღეპარტამენტი იურიდიული ღეპარტამენტი
50	საკასო ცენტრის ჩამოყალიბება	2006-2009 წწ.	საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის ღეპარტამენტი სამეურნეო საქმიანობის ღეპარტამენტი
51	50 თეთრის, 1 და 2 ღარის ნომინალის მონეტების ღამზალება	2006 წელი II ნახევარი	საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის ღეპარტამენტი
52	საიუბილეო მონეტების ღამზალება	პერიოდულად	საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის ღეპარტამენტი
53	200 ღარის ნომინალის ბანკნოტის ღამზალება	2006 წელი II ნახევარი	საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის ღეპარტამენტი
54	საღაროს ოპერაციების წარმოების წესის გამარტივება	2006 წელი I ნახევარი	საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის ღეპარტამენტი იურიდიული ღეპარტამენტი
55	საქართველოს ეროვნული ბანკის ფილიალების სტრუქტურის ოპტიმიზაცია	2006-2009 წწ.	აღმნიარუ რესურსის მართვის ღეპარტამენტი
56	საერთაშორისო რეზერვების კალათაში შემავალი საეღუგო რისკების კეჯირება საზგ-ფორექსული ოპერაციების გამოყენებით	2006-2007 წწ.	საეღუგო და ფუღალ-საკრედიტო ოპერაციების ღეპარტამენტი
57	საერთაშორისო რეზერვის საინვესტიციო პორტფულში ახალი ინსტრუმენტების ჩართვა	2006-2008 წწ.	საეღუგო და ფუღალ-საკრედიტო ოპერაციების ღეპარტამენტი
58	ინტერნეტ-სივრცეში საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციაღური წარმომადგენლობის მოღერნიშება	2006 წელი I ნახევარი	საზოგადოებასთან ურთიერთობის ღეპარტამენტი

დანართი N1

ძირითადი მონეტარული და საბანკო ინდიკატორები

1995-2009 წწ.
(პროცენტებით)

	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2009
მთლიანი აქტივები/მშპ	5.9	6.1	7.2	9.4	10.5	12.7	13.2	15.0	15.6	17.3	22.0	40.0
მთლიანი სესხები/მშპ	3.7	3.2	3.9	4.6	5.5	7.1	7.3	8.4	9.2	9.8	14.9	26.0
მთლიანი დეპოზიტები/მშპ	1.5	2.1	2.9	3.1	3.5	5.0	5.7	6.3	7.2	9.1	10.1	19.0
დეპოზიტების დოლარიზაცია	41.1	48.2	58.4	68.7	79.0	77.9	85.7	84.9	86.1	74.3	71.6	61.0
საშუალო მოგება აქტივებზე (ROA)	...	5.5	6.4	4.8	4.0	0.4	1.5	3.9	3.7	1.6	2.4	1.8
საშუალო მოგება კაპიტალზე (ROE)	...	22.0	21.0	15.3	11.8	1.4	4.8	13.8	14.0	7.4	12.9	16.0
გრძელვადიანი სესხების წილი მთლიან სესხებში	6.6	11.1	15.2	36.5	29.8	39.8	29.9	37.7	47.1	59.6	65.2	85.0
ბანკომაგების რაოდენობა	x	x	1	1	3	10	19	22	26	58	141	350
პლასტიკური ბარათების რაოდენობა	30962	113090	254004	950000
მთლიანი საერთაშორისო რეზერვები*	195	190	200	124	133	110	160	198	192	384	475	850
ეკონომიკის მონეტარიზაცია (M ₃ /მშპ)	4.9	6.6	8.2	7.3	7.8	10.2	11.0	11.6	12.4	15.4	16.5	22.0

* მლნ აშშ დოლარი

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
პრეზენტი არსებული სახელაწიფო ფასიანი ქაღალდების მოცულობა	მლნ ლარი	0.1	0.004	3.8	0	1.7	6.3	28.9	58.5	73.3	60.8	23
საქართველოს ერთეული დანაკარგის საკულუნი აქციები	მლნ ლარი	237.4	241.6	225.8	203.9	231.7	209.6	320.1	405.8	385.5	678.3	848.1
M ₂ მულტიპლიკატორი		0.9	1	1.1	1	0.9	1	0.9	0.9	0.9	1	1.1
M ₃ მულტიპლიკატორი		1.2	1.2	1.3	1.4	1.4	1.6	1.7	1.7	1.8	1.8	1.9
მოიხრება (M ₃)	%	4.9	6.6	8.2	7.3	7.8	10.2	11	11.6	12.4	15.4	16.5
სარეზერვო ფულ/მშპ	%	4.2	5.4	6.1	5.2	5.4	6.5	6.4	6.8	6.8	8.5	8.6
მილიანი საენთაშიონისი რეზერვები	მლნ აშშ დოლარი	195	190	200	124	133	110	160	198	192	384	475
მლნ აშშ დოლარი	მლნ აშშ დოლარი	1 498	1 954	2 032	2 747	3 647	4 538	6 359
საკულუნი ბაზარზე პრეზენტის მოცულობა	მლნ ევრო	x	x	x	x	x	x	x	x	492	558	1 088
მილიანი აქციები	მლნ ლარი	220	235	329	470	594	765	880	1 117	1 336	1 697	2 548
მილიანი სესები	მლნ ლარი	136	125	178	230	309	430	490	630	786	965	1 730
მილიანი ლეიხიბები	მლნ ლარი	56	80	133	156	201	303	384	473	619	896	1 175
მშპ	მლნ ლარი	3 694	3 869	4 555	5 022	5 669	6 043	6 674	7 456	8 564	9 824	11 592
სესები უქსიური კალკული	მლნ ლარი			83	157	238	349	399	533	685	814	1 319
საბანკო პერიოდით განხორციელებული ოპერაციების მოცულობა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	126
წმინდა მოგება	მლნ ლარი	13 098	20 987	22 433	23 840	23 840	3 254	12 989	43 462	49 569	27 480	61 756
საქსელები კაპიტალი	მლნ ლარი	34 649	59 579	100 150	147 026	202 692	234 291	270 356	315 855	353 751	372 512	479 488
სარეზერვო ფული	მლნ ლარი	154	209	277	260	308	391	430	509	580	837	1001
M ₃	მლნ ლარი	181	256	373	369	445	618	732	864	1060	1512	1911
M ₂	მლნ ლარი	132	218	295	261	286	382	404	462	527	846	1070
ნაღდი ფული მხოლოდ	მლნ ლარი	108	186	255	222	260	329	366	417	473	676	811
საბინძურებული ფასების ინდექსი	%	157.4	113.5	107.5	110.7	110.9	104.6	103.4	105.4	107	107.5	106.2
ოფიციალური გეიკლასი კურსი (ლარი/აშშ დოლარი, პერიოდის ბოლოსთვის)		1.245	1.27	1.304	1.8	1.93	1.975	2.06	2.09	2.075	1.825	1.7925
ბანკების რაოდენობა		101	61	53	44	39	32	29	27	24	21	19
ბანკების ფალაღების რაოდენობა		...	242	215	212	219	208	206	199	201	161	159

საქართველო, 0105, თბილისი, გ. ლეონიძის ქ. N3/5
ტელეფონი: 996 505; ფაქსი: 999 346; ტელექსი: 212 952 LEGAL
ელფოსტა: info@nbg.gov.ge; ვებ-გვერდი: www.nbg.gov.ge